აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№98 (25.122) 10 ნოემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

„ევროოდისეის ფორუმი 2023“

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპის რეგიონული ასამბლეის (AER) ვიცე-პრეზიდენტი დავით ბაციკაძე, უსკოს თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონიასთან ერთად, პორტუგალიაში, „ევროოდისეის“ ფორუმში მონაწილეობენ

„დავით ბაციკაძემ მისასალმებელ სიტყვაში ისაუბრა AER-ისა და ევროოდისეის მუშაობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის როლზე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და ღია მმართველობის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებით მიღებულ დადებით შედეგებზე, აჭარისა და აზორის ავტონომიური რესპუბლიკების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ყურადღება გაამახვილა მომავალ წელს ბათუმში დაგეგმილი შავი ზღვის ფორუმისა და გენერალური ასამბლეის ფარგლებში განსახილველი საკითხებზე. ფორუმის ფარგლებში, გაიმართა თაობათაშორისი რეგიონული დებატები თემაზე - „2024 წლის ევროპის არჩევნები“. როგორც აღინიშნა, ეს დებატები, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების წინ, კარგი შესაძლებლობაა ევროპის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების განსახილველად, უფრო დემოკრატიული, ინკლუზიური და მდგრადი გარემოს შესაქმნელად. 6-9 ნოემბრის ფორუმზე, რომელიც პლენარულ სესიებს, ვორქშოფებს, სემინარებს, დებატებსა და ცალკეულ შეხვედრებს მოიცავს, განსახილველ საკითხებს შორისაა სოფლად და პერიფერიულ ზონებში მცხოვრები ახალგაზრდების მობილობის, მათი უნარების განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცება. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ევროპის რეგიონთა ასამბლეის ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამა „ევროოდისეა“, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2006 წლიდან ახორციელებს. უცხოეთში სტაჟირების პროგრამით, ყოველწლიურად, არაერთი ახალგაზრდა სარგებლობს“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, „ევროოდისეის ფორუმი 2023“, რომელშიც პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები და ახალგაზრდები მონაწილეობენ, AER-ის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ბაციკაძემ, ევროოდისეის პრეზიდენტმა ესტერ ესტანმა, AER-ის პრეზიდენტმა ალბერტ კასტელანოს მადუელმა, AER-ის გენერალურმა მდივანმა კრისირან სპაჰრმა და აზორის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტის სამდივნოს წარმომადგენელმა პედრო დე ფარია ე კასტრომ გახსნეს.

კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადაეცათ

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია გაიმართა. პროგრამის პირველ ნაკადში 14 სტუდენტი გადამზადდა

ღონისძიებას დაესწრნენ ბსუ-ის რექტორი და ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები, ბსუ-ის აგროსკოლის და აგრარული ექსტენციის ცენტრის ხელმძღვანელები, უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი ინსტრუქტორები; ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA), აჭარის სოფლის მეურნეობის და განათლების სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და ორგანიზატორი „მომავლის ფერმერი“.

პროგრამა შემუშავდა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით, ფიტოსანიტარიის პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოში ახორციელებს „მომავლის ფერმერი“. პროგრამის პირველი ნაკადი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ დააფინანსა. პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა მიიღეს თეორიული და პრაქტიკული სწავლება რეგიონში კონკრეტულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების, მათ წინააღმდეგ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მეთოდების და ღონისძიებების შესახებ.

პროგრამის მომზადებაში ჩართული იყვნენ განათლების ექსპერტები, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები და სპეციალისტები აშშ-დან. შრომის ბაზარზე აღნიშნული პროგრამით გადამზადებულ პირთა მიმართ მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ბსუ უახლოეს პერიოდში გეგმავს ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ: „როგორც მცენარეთა დაცვა, ასევე, სურსათის უვნებლობა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა არამარტო ჩვენი რეგიონისათვის. ამიტომ ამ მიმართულებით სპეციალისტების გადამზადება აუცილებელია. მინდა გამოვხატო განსაკუთრებული მადლიერება ჩვენი აქტიური მხარდამჭერების, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, ასევე, „მომავლის ფერმერის“, დასაქმების სააგენტოს მიმართ. ვფიქრობთ, მომავლისათვის მისაღები კონტინგენტი გავზარდოთ ამ ინსტიტუციების დახმარებით, დავამატოთ ისეთი პროგრამები, როგორიც არის იქტიოლოგია და ვეტერინარია.

გიორგი მახარაძე, აგრარული ექსტენციის ცენტრის დირექტორი:

- ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი პროფესიული გადამზადების კურსის არსებობა რეგიონში, ვინაიდან ის პასუხობს ისეთი მნიშვნელობის გამოწვევებს, როგორიცაა: კულტურულ მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისგან დაცვის ეფექტურობის გაზრდა, ბაღის მოვლის ხარჯების შემცირება, გარემოზე პესტიციდების უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირება.

პირველი ნაკადის გადამზადების შემდეგ, აჭარის რეგიონს უკვე ჰყავს 14 სერტიფიცირებული მცენარეთა დამცველი. დაგეგმილია აქტიურად გაგრძელდეს აგრარული მიმართულების სპეციალისტების გადამზადება მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მიმართულებით, რასაც აგრარული ექსტენციის ცენტრი უზრუნველყოფს. აღნიშნული სისტემის ინტეგრაცია დაეხმარება ფერმერებს, რომ გაზარდონ მოწეული პროდუქციის ხარისხი, ღირებულება და პროდუქციის ხარისხი ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისობას დაუქვემდებარონ.

ძმითევან გობუაძე, კურსდამთავრებული:

- დრო მოვიდა ისეთი, რომ დედამიწას ადამიანების დახმარება დასჭირდა, ამიტომ ახალი მიდგომები ძალიან საინტერესო და აუცილებელი დარჩა. ინტეგრირებულ მცენარეთა დაცვაში არსებული სიახლეები დიდი ინტერესით შევისწავლეთ, რათა ეს ცოდნა გამოვიყენოთ ისე, რომ დედამიწას, ბუნებას წაადგეს.

რას ფიქრობენ პოლიტიკოსები საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციაზე 2

სად გადის ზღვარი...? 4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რას ფიქრობენ პოლიტიკოსები საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციაზე?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2023 წლის 8 ნოემბერი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გამორჩეული დღეა. მოხდა ის, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ველოდით - ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა, მაგრამ მთავარი გადაწყვეტილება კიდევ წინ არის

სიმბოლურია, რომ დადებითი რეკომენდაცია „ერის მამის“, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს გაჟღერდა, ადამიანის, რომელიც ყოველთვის ევროპისკენ ისწრაფოდა. „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი“, - ამბობდა ის და სწორედ ილიას გზით უნდა იაროს საქართველომ, ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი რომ გახდეს.

ჩვენი ქვეყანა ზეიმობს, რადგან სტატუსის მინიჭების რეკომენდაციის გაცემა ევროპისკენ კიდევ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია და შეიძლება ითქვას, რომ ეს ქართველი ხალხის გამარჯვებაცაა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკომისიის ამ გადაწყვეტილებას თან ახლავს დიდი პასუხისმგებლობა და არაერთი რეკომენდაცია, მათ შორის, განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ მომავალი წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებებთან და გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის მაჩვენებელი, თავიდან უნდა აიცილოს ქმედებები და განცხადებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის პოზიციებს საგარეო პოლიტიკაში; გააგრძელოს ძალისხმევა ჰიბრიდული/კიბერ მდგრადობის გასაზრდელად, გააგრძელოს იმის უზრუნველყოფა, რომ საქართველოს ტერიტორია ან/და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები არ იქნან გამოყენებული ევროკავშირის სანქციების გვერდის ავლისთვის, განსაკუთრებით რუსეთთან და ბელარუსთან მიმართებაში, ასევე კანონის უზენაესობა, მედიის თავისუფლება, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ ერთად და კონსტრუქციულად უნდა იმუშაონ ხალხის მისწრაფებების განსახორციელებლად და ევროკავშირის მიერ დასახული ახალი ნაბიჯების გადასადგმელად.

გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების რამდენიმე ვიზიტი ბრიუსელში, სადაც განიხილებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიღებული პერსპექტივა და სტატუსის მისანიჭებლად გადასადგმელი ქმედითი ნაბიჯები. ოპოზიციის მხრიდან მუდმივად მიმდინარეობდა საუბარი იმაზე, რომ საქართველოს არ გაუთვალისწინებია ევროკავშირის რეკომენდაციები და რომ დადებითი გადაწყვეტილების მოლოდინი იყო ძალიან დაბალი, მეტიც, პარლამენტარ ხათუნა სამნიძის განცხადებით, ოპოზიციის რიგებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ევროპელ პარტნიორებთან დახურულ კარს მიღმა საუბრობდნენ იმაზე, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება უნდა გადავადებულიყო და 2024 წლის არჩევნების შემდეგ მინიჭებოდა საქართველოს ეს სტატუსი, რასაც ოპოზიციის ნაწილი აპროტესტებდა. ისინი სამნიძეს მოუწოდებდნენ, კონკრეტულად ეთქვა, თუ ვინ იყო ასეთი ქართულ ოპოზიციაში.

ევროკომისიის მხრიდან რეკომენდაციის გაცემასთან დაკავშირებით კეთდება განცხადებები როგორც მმართველ პარტიაში, ასევე ოპოზიციაში.

მმართველი პარტია, პირველ რიგში, ულოცავს ქართველ ხალხს ამ მნიშვნელოვან დღეს.

„დღეს არის ნამდვილად ისტორიული დღე ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის გზაზე. მინდა, ეს ისტორიული დღე მივულოცო ჩვენს თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ქვეყანას, რადგან გადაწყვეტილება, რომელიც დღეს მიიღო ევროკომისიამ, რეკომენდაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, არის უზარმაზარი და უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი“, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა.

რაც შეეხება ოპოზიციას, ისინიც აღნიშნავენ, რომ ეს დღე ნამდვილად დიდი გამარჯვებაა და რეკომენდაციის გაცემა ევროკომისიის მიერ არის მხოლოდ ქართველი ხალხის დამსახურება. „ჩემო ძვირფასებო, ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, დღევანდელი დღის წარმატება შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართველმა ხალხმა! იმ ადამიანებმა, რომლებიც წლებია იბრძვით თავისუფლებისთვის! წინ დიდი გამარჯვებები გველოდება“, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სოფო ჯაფარიძემ.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კი აღნიშნავს, რომ ეს არის ჩვენი პასუხი რუსეთის ოკუპაციაზე და იმ უღირსობაზე, რასაც ეს ქვეყანა ახორციელებს საქართველოს მიმართ. პრეზიდენტი ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს და ამბობს, რომ ეს არის ყველას გამარჯვება.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები ევროკომისიის მხრიდან საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციის გაცემაზე და მათი აზრით, ვიმსახურებდით თუ არა? გავეცნოთ პოზიციებს.

რამაზ ჯინჭარაძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე:

- ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს ვულოცავ ევროკომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ევროკავშირის სრულფასოვან წევრობასთან საქართველოს კიდევ უფრო მეტად აახლოებს. ჩვენი ქვეყნისთვის გაიცა რეკომენდაცია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩართული იყო და წვლილი მიუძღვის დადებითი შეფასების მიღებაში. მადლობას ვუხდი ევროკომისიის წარმომადგენლებს, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, მადლობა ქართველ ხალხს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთელ სახელისუფლებო გუნდს!



აპაკი ბვიანიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „საქართველოსთვის“:

- ქართველი ხალხის დაუღალავმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ამას არა მარტო ჩვენ, არამედ ევროპელებიც ხედავენ და აფასებენ. მადლობა ჩვენს მოქალაქეებს, რომელთა ურყევ ნებასთან, საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, ვერაფერს გახდა მრავალმილიონიანი დაფინანსების მქონე სამთავრობო პროპაგანდის მანქანა. ასევე, მადლობა ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებმაც აიძულეს მთავრობა, დაეხია უკან და უარი ეთქვა რუსულ კანონზე. ვულოცავ სრულიად საქართველოს, ჩვენ ნამდვილად ვიმსახურებდით სტატუსს. ამასთან, არ უნდა დავივიწყდეს, რომ საქართველო ჩამორჩება მოლდოვას, რომელსაც უკვე აქვს სტატუსი და იწყებს მოლაპარაკებების პროცესს. სწორედ ეს არის მთავარი გამოწვევა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ჩვენგან მოქალაქეები ითხოვენ ზეპარტიულ ერთობას ამ საკითხზე. ვინც ვერ გაიგებს ამას, 2024 წლის 26 ნოემბერს მკაცრად და სამაგალითოდ დაისჯება.

ილია ვერძაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი:

- პირველ რიგში, მინდა მივულოცო ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული კიდევ ერთი გამარჯვება და მადლობა გადავუხადო მათ მხარდაჭერისთვის. ეს არის დიდი ძალისხმევისა და შრომის, ასევე, ქართველი ხალხის სიბრძნის შედეგი. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მიიღო ობიექტური გადაწყვეტილება, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და არ დაუშვა იმ სიბინძურისა და დესტრუქციის წახალისება, რომელსაც აწარმოებდა ქართული ოპოზიციის ნაწილი. ოპოზიციამ კრახი განიცადა მაშინვე, როგორც კი ამ საკითხის მანიპულირებით ქულების დაწერა დააპირა და ყოვლად ბინძური და მიუღებელი ფორმით დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. ვერც კი გათვალეს, რომ ეს იყო მათი პოლიტიკური სასაფლაოსკენ მიმავალი გზა. საქართველო იყო და არის ევროპული სივრცის ორგანული ნაწილი და ამ მოცემულობას ვერავინ შეცვლის. ქართველი ხალხის გამარჯვება, სწორედ, ხელისუფლების სწორ პოლიტიკაზე გადის. ქართველი ხალხი უფრო ადრეც იმსახურებდა ევროპულ გზაზე წარმატებებს, მაგრამ ეს მხოლოდ 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ მოსული ხელისუფლების - „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში გახდა შესაძლებელი.



მურმან დუმბაძე, გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშია“:

- ადამიანისთვის სურვილი არ უნდა იყოს სიხარულის საფუძველი. სიხარულის საფუძველი უნდა იყოს ქმედება სურვილის მისაღწევად. ვიფიქროთ არა იმაზე, თუ რა გვინდა, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რაც გვინდა, გვეკუთვნის თუ არა. ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიაღწიოს არა კანდიდატის სტატუსს ან თუნდაც ევროკავშირის წევრობას, არამედ უნდა მიაღწიოს თავად ევროპას. ევროპელობა კი მიღწეული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში აღარ იქნება ავტორიტარიზმი და გარანტირებულად უზრუნველყოფილი იქნება თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი სასამართლო.

ასმათ დიასამიძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე:

- კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებელი რეკომენდაცია არის გზამკვლევი ამ რთულ, მაგრამ მნიშვნელოვან გზაზე. ნურავინ შეეცდება მიიწეროს, დაიბრალოს ქართველი ხალხის მიღწევა, მონდომება და ბრძოლა ამ პირველი ეტაპის გამარჯვებაში, თუმცა ნაბიჯები ამ გამარჯვების მიღწევისთვის დაიწყო გაცილებით ადრე და ქვეყნის მომზადება ამ ეტაპისთვის ეკუთვნის მიხეილ სააკაშვილს. საჭირო რეფორმები და საზოგადოების მზაობა უმნიშვნელოვანესია ჩვენი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, მოცემული დავალების შესრულება კი ევალება ამჟამინდელ ხელისუფლებას, რაშიც მოიკოჭლებენ, თუმცა ხალხის ნება უმთავრესია და იმედი მაქვს, ფონს სწორედ საზოგადოების დიდი სურვილი და ბრძოლა გაგვიყვანს.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. გადაწყვეტილება ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გამოაცხადა. „კომისია რეკომენდაციას უწევს, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი იმის გათვალისწინებით, რომ ყველა შესაბამისი ნაბიჯი იქნება გადადგმული“, - განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. ევროკომისიის მიერ წარდგენილ ანგარიშში შეფასებულია იმ ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი, რომლებიც ბლოკში გაერთიანებისკენ ისწრაფვიან, მათ შორის, დოკუმენტში საქართველოს მიერ ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულება არის შეფასებული. რეკომენდაციები ევროპულ საბჭოს გადაეგზავნება. ლიდერები საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებენ.

* * *

მერია ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟსა და ახლით ჩანაცვლებას გეგმავს. ტერიტორია შემოსაზღვრულია, სამუშაოები მალე დაიწყება. მიმდინარე სამუშაოებით ბათუმის მერი დაინტერესდა. არჩილ ჩიქოვანი პროექტის დეტალებს აჭარის უმაღლესი საბჭოს, ბათუმის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. როგორც მან აღნიშნა, წელს ბათუმში 22 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია ხორციელდება. აშენდა 3 და მიმდინარეობს კიდევ 3 ბაღის მშენებლობა. საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 16 ბაღს უტარდება რეაბილიტაცია, აქედან სამუშაოები უკვე დასრულდა 4 მისამართზე, 12 ბაღში კი ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება. რაც შეეხება მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში კვების საკითხს, ყველა ბაღისთვის შემუშავებულია ერთნაირი მენიუ. კვება არის ხარისხიანი, ჯანსაღი და დაბალანსებული. პროექტის ფარგლებში, ბაღის ეზოში განთავსდება საბავშვო ატრაქციონები და საპარკო სკამები, მოეწყობა გარეგანათების სისტემა და დაიგება მწვანე საფარი. პროექტისთვის 2 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული. 100 აღსაზრდელზე გათვალისწინებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორსართულიანი, ადაპტირებული საბავშვო ბაღი ექსპლუატაციაში 2024 წელს შევა.

* * *

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ნიჟარაძის ქუჩის მცხოვრებლებს შეხვდა და იქ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. ნიჟარაძის ქუჩაზე დასრულდა ორი საავტომობილო ხიდის მშენებლობა, რისთვისაც 675 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. დამცავი კედლის მოსაწყობად 690 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. დაგეგმილია არსებული ნაპირსამაგრი კედლის გაგრძელება, რომლის პროექტირებაც წელს განხორციელდება. უახლოეს პერიოდში დაიწყება სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები, რისთვისაც 74 000 ლარი დაიხარჯება.

* * *

ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. №15-ში არსებული სპორტული მოედნისა და საბავშვო ატრაქციონების რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, დასრულდა სადემონტაჟო სამუშაოები, სრულად განახლდა გარეგანათების სისტემა, დაიგო ბორდიურები და დეკორატიული ფილები, მოეწყო ტრიბუნა და პანდუსი. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე სისტემა და განთავსდება საპარკო ინვენტარი. სამუშაოები, რისთვისაც 428 000 ლარზე მეტია გათვალისწინებული, 2024 წლის მაისის ბოლომდე დასრულდება. ბათუმის ვიცე-მერმა ლევან დავითაძემ მიმდინარე სამუშაოები საკრებულოს წევრ ზურაბ ნაკაიძესთან ერთად დაათვალიერა.

* * *

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს შეხვდა. მწვანე სივრცეების მოწყობა, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებული საჭიროებები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გამოწვევები ეს ის საკითხებია, რომელიც შეხვედრაზე მოქალაქეებმა მერს დაუსვეს. შეხვედრას მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მოქალაქეებს ამავე დასახლებაში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც გააცნეს. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, საკითხები, რომელიც შეხვედრაზე დაისვა, უახლოეს პერიოდში გადაიჭრება.

* * *

„თეგეტა გრინ პლანეტმა“ სასტუმრო „რედისონში“ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ პარტნიორებისთვის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი იყო სპეციფიკური ნარჩენების ეფექტური მართვა გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის და მათგან გამოწვეული პრობლემების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან „თეგეტა გრინ პლანეტმა“ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ფარგლებში, ნარჩენი საბურავების, ზეთების და აკუმულატორების მართვისთვის საჭირო უფლების მოსაპოვებლად ავტორიზაცია გაიარა. პირველ ეტაპზე, ორგანიზაცია ზემოაღნიშნულ სპეციფიკურ ნარჩენებს რეგლამენტის მიხედვით აგროვებს, უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, შემდგომ კი მართავს ცირკულარული ეკონომიკის წესების შესაბამისად.

ევროკომისიის ისტორიული ვერდიქტი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდების თვალსაზრისით, ეს კვირა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან, კანდიდატის სტატუსის მონიჭების შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა დასავლეთს, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, დაუახლოვდება, ანუ ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს, რაც, ცხადია, რუსეთის შეშფოთებას იწვევს

ოფიციალური მოსკოვი დასავლეთში ლობისტების მეშვეობით ამკვიდრებს აზრს, რომ ომი უკრაინაში უნდა დაკონსერვდეს და მისი გავლენის ქვეშ მყოფმა ქვეყნებმა (იგულისხმება მოლდოვა, საქართველო) ნეიტრალური სტატუსი მიიღონ. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკომისია საქართველოსთან დაკავშირებით, რამდენად მისაღებია ჩვენთვის ნეიტრალიტეტის გამოცხადება? - ამის თაობაზე პოლიტოლოგ **გელა ირემაძეს** *ვესაუბრებით.*

- რა მოლოდინი გაქვთ კანდიდატის სტატუსთან მიმართებით?

- როგორც ცნობილია, 8 ნოემბერს ევროკომისიამ შუალედური გადაწყვეტილება მიიღო - საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას დეკემბერში მიანიჭებენ კანდიდატის სტატუსს გარკვეული დათქმებით. სტატუსის არმონიჭების გადაწყვეტილება რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს და ეს დასავლეთმა არაფრით არ უნდა დაუშვას. შარშან დასავლეთმა, გარკვეულწილად, დაგვჩაგრა. ამ მხრივ დამაიმედებელია ევროკავშირის მაღალჩინოსნების განცხადებები, რომ საქართველო იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. საბოლოო გადაწყვეტილებას ევროკომისია დეკემბრის მიწურულს მიიღებს და თუ რაიმე ექსტრაორდინარული არ მოხდა საშინაო პოლიტიკის კუთხით, საქართველო სრულფასოვნად მიიღებს კანდიდატის სტატუსს.

- დასავლეთის მოთხოვნები და რეკომენდაციები მრავალმხრივია. რამდენად გაკმაყოფილებთ მათ?

- აქ ყველაფერი მაინც სუბიექტურია. ცხადია, ევროპისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული წესწყობილება, კანონის უზენაესობა და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანია თავად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. ოპოზიცია ამბობს, რომ დემოკრატია მოიკოჭლებს, ხელისუფლების აზრით, საქართველო რეგიონში დემოკრატიული განვითარებით მაღალ დონეზეა, ამაზე დავა შეიძლება. ხალხმა უნდა შეაფასოს, რამდენად დემოკრატიული ქვეყანა ვართ. გავიხსენოთ თუნდაც ბოლო 30-წლიანი პერიოდი - რა გვქონდა და დღეს რა არის? ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა წინ მიდის. ცხადია, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, პირიქით, უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას დემოკრატიული რეფორმები, ადამიანის უფლებების დაცვა და სამოქალაქო კონტროლზე დამორჩილება, სწორედ ამ ვალდებულებების შესრულებას ითვალისწინებს, გარკვეულწილად, 12 რეკომენდაცია. მოკლედ, თუ ჩვენი ქვეყანა რეფორმებს თანმიმდევრულად განახორციელებს და ევროკავშირის მოთხოვნებს გაითვალისწინებს, მაშინ ამ კავშირში გაერთიანების პერსპექტივა რეალური გახდება.

- კანდიდატის სტატუსის მონიჭება რა შესაძლებლობებს გვიხსნის?

- თუ ჩვენმა ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღო, ამას, როგორც გაცხადდა, მოხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებლად, არამედ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარებაც გაუწია. ცხადია, დასავლეთსაც აქვს საკუთარი ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, რაც, ძირითადად, ენერგორესურსებზე კონტროლის დამყარებას გულისხმობს და ამით რუსეთის გავლენისგან სამხრეთკავკასიური ქვეყნების გათავისუფლებას. ამ მხრივ, უმთავრესი ისაა, რომ ევროპა და აშშ, რუსეთისგან განსხვავებით, ქართულ სახელმწიფოებრიობას არ ებრძვიან, საფრთხეს არ უქმნიან. თუ დავაკვირდებით და გავაანალიზებთ რუსეთის ქმედებებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მივხვდებით, რომ კრემლი იქ აღწევს მიზანს, სადაც აზრთა სხვადასხვაობაა საგარეო ვექტორთან დაკავშირებით და ყალბდება არჩევნები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩრდილოელ მეზობელს არ უნდა დავემსგავსოთ. უმჯობესია, მისი ანტიპოდი იყო, გაატარო დემოკრატიული რეფორმები, გაუმჯობესო ეკონომიკური მდგომარეობა, არ ჩამორჩე ტექნოლოგიურ პროგრესს, განათლებასა და მეცნიერებაში ჩადო მნიშვნელოვანი თანხები და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ქვეყანაში ხელისუფლება უნდა იცვლებოდეს მხოლოდ არჩევნების გზით, როგორც ეს ევროპულ ქვეყნებში ხდება. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად რომ გავაუმჯობესებთ შედეგებს, მაშინ რუსეთმა რომც მოინდომოს საქართველოს დაპყრობა, ეს მისთვის არაფრისმომცემი (ტერიტორიის კონტროლის გარდა) იქნება, რადგან, ჯერ ერთი, დასავლეთი დაუპირისპირდება და, რაც მთავარია, მას დახვდება არა საბჭოური, არამედ მისგან განსხვავებული, მებრძოლი საზოგადოება.

ჰყვება სტრუქტურული ფონდებიდან დაფინანსება, ასევე, გაჩნდება რეფორმების გატარების მეტი მოთხოვნა და ეს ყველაფერი, უდავოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

- ანტიდასავლური ძალები აცხადებენ, თითქოს დასავლეთი ებრძვის ქართულ სახელმწიფოს...

- ქართულმა საზოგადოებამ უნდა ირწმუნოს, რომ ევროპა და, ზოგადად, დასავლეთი საქართველოსადმი კეთილადაა განწყობილი, ამის თქმის საფუძველს იძლევა თუნდაც ის, რომ დასავლეთმა ჩვენს ქვეყანას არა

- ბოლო დროს საეჭვოდ გააქტიურდა საქართველოს ნეიტრალიტეტზე საუბარი...

- სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას მაშინ აქვს აზრი, თუ ამას აღიარებენ მეზობელი დიდი ქვეყნები, რომლებიც, ამასთანავე, უნდა წარმოადგენდნენ მოცემული სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის გარანტიებს. რუსეთი ვერ გახდება საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტორი, ვინაიდან მას ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. რუსეთის ნდობა რომ არ შეიძლება, ცხადზე უცხადესია.

- როგორც ცნობილია, რუსეთმა არაერთხელ უგულებელყო დადებული შეთანხმება სხვადასხვა სახელმწიფოსთან მიმართებით...

- თანამედროვე ისტორიაში არაერთი მაგალითი გვაქვს, როგორ უგულებელყო რუსეთმა სახელმწიფოების ნეიტრალიტეტი. მაგალითად, მოლდოვამ 1994 წელს კონსტიტუციით ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ ამით ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღიდგინა. ნეიტრალიტეტი მთელ რიგ ვალდებულებებს გულისხმობს: ქვეყანა არ უნდა მონაწილეობდეს არცერთ სამხედრო კონფლიქტში, არ უნდა გამოთქვას მზაობა ნატოში გაწევრიანებაზე და სხვა. ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი მიუღებელია.

- როგორც ვიცით, ერთი ქვეყნის ნეიტრალიტეტის სტატუსით სხვადასხვა სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, ამ მხრივ საქართველოზე რა უნდა ითქვას?

- ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ არეალშია, ამიტომ მისი ნეიტრალიტეტის სტატუსით უნდა იყვნენ დაინტერესებული მეზობელი ქვეყნები - რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ასევე, აშშ და ევროკავშირი, მაგრამ ჯერჯერობით ეს გამორიცხულია. რუსეთი საქართველოს გაძლიერებაზე რომ არ ფიქრობს, არახალია, თანაც შუაგულ ევროპაში შემავალი ქვეყნები - ფინეთი და შვედეთი, რომლებსაც ნეიტრალური სტატუსი ჰქონდათ, ნატოს წევრები გახდნენ ამას წინათ, რაც მრავალსმთქმელია. რუსეთთან ურთიერთობების გამოცდილება მიგვანიშნებს, რომ ამ ქვეყანას პარტნიორული დამოკიდებულება არ შეუძლია.

- ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთთან ურთიერთობის სამწუხარო მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდანაც მოგვეპოვება...

- ჩრდილოელმა მეზობელმა ბოლო 30 წლის განმავლობაში ჯერ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში მიიღო მონაწილეობა, მერე შევარდნაძის მთავრობას აფხაზეთი წაგლიჯა, საკაშვილის ხელისუფლების დროს ცხინვალის რეგიონის და კოდორის ხეობის ოკუპაცია განახორციელა, ამჟამინდელ ხელისუფლებას კი არსებული რეალობის გათვალისწინებას ურჩევს, ანუ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაკარგვას შეეგუოს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის საბოლოო მიზანი ქართული სახელმწიფოს მოსპობაა.

- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის, კითხვა: რატომ ცდილობს რუსეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების დეზინტეგრაციას?

- საქმე ის არის, რომ აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, დნესტრისპირეთის ანექსია და ახლა - ომი უკრაინაში ბერკეტია ქართული, მოლდოვური და უკრაინული სახელმწიფოების ლიკვიდაციისთვის. რუსეთის ხელისუფლებას ვერ წარმოუდგენია პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა, რადგან, მათი ლოგიკით, მხოლოდ რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს სახელმწიფოები შეიქმნა და განვითარდა. ამის დასტურია შემდეგიც: საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეს, მოსკოვმა სწორედ მაშინ გააღვივა კონფლიქტები, რომლებიც დღემდე გრძელდება. აქედან გამომდინარე, საქართველოსა და რუსეთის თანამშრომლობას ვერ ვუწოდებთ კეთილმეზობლურს, რადგან ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, გრძელდება მცოცავი ოკუპაცია.

- დაბოლოს, რა სხვაობაა დასავლეთსა და რუსეთს შორის?

- დასავლეთში შეიძლება ყველაფერი იდეალურად არ იყოს, მაგრამ ევროპული ქვეყნები ეკონომიკურად გამართული, ძლიერი სახელმწიფოებია, სწორედ ასეთი ქვეყნების ფერხულში ჩაბმამ განაპირობა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მზარდი ეკონომიკური განვითარება, ხოლო რუსეთში რაც ხდება, საყოველთაოდ ცნობილია. ეს ქვეყანა არათუ სხვისი, თავისი მოქალაქეების უფლებებსაც თელავს. ბესლანის ტრაგედია, ჩეჩნეთის ორი ომი, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ამის თვალსაჩინო მაგალითია. ერთ საყურადღებო მაგალითსაც მოვიყვან: ავიღოთ სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეა დესპოტიზმის, დიქტატურის კლასიკური ნიმუშია, მისი ეკონომიკური მდგომარეობა - სავალალო, ადამიანის უფლებები - დარღვეული, ერთ ადამიანზე, ანუ მმართველზეა დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლე. სამაგიეროდ, საპირისპირო სურათია სამხრეთ კორეაში. ეს ქვეყანა კეთილდღეობის და პროგრესის სინონიმია. დემოკრატია უმაღლეს დონეზეა აყვანილი. მოკლედ, ადამიანი სარგებლობს ეკონომიკური და პოლიტიკური დივიდენდებით. აი, ეს სხვაობაა რუსეთსა და დასავლეთს შორის, ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რათა ქვეყანა დაცული იყოს საგარეო აგრესიისგან - ვგულისხმობ რუსეთს, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოს ჭირია, რასაც უკრაინის ომიც ადასტურებს.

> ***„რუსეთის ხელისუფლებას ვერ წარმოუდგენია პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა, რადგან, მათი ლოგიკით, მხოლოდ რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს სახელმწიფოები შეიქმნა და განვითარდა. ამის დასტურია შემდეგიც: საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეს, მოსკოვმა სწორედ მაშინ გააღვივა კონფლიქტები, რომლებიც დღემდე გრძელდება. აქედან გამომდინარე, საქართველოსა და რუსეთის თანამშრომლობას ვერ ვუწოდებთ კეთილმეზობლურს, რადგან ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, გრძელდება მცოცავი ოკუპაცია***

მადლობა - წარმატებული გამოსვლისთვის

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე თურქეთის რესპუბლიკის ქემერის მუნიციპალიტეტში გამართული მშვიდობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის მონაწილე ქალთა ფოლკლორული ანსამბლის ,,იაგუნდის" წევრებს და ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელს ჯამბულ სურმანიძეს შეხვდა და მადლობა გადაუხადა წარმატებული გამოსვლისთვის.

„იაგუნდი“ მსმენელის წინაშე აჭარული და ლაზური ფოლკლორის ნიმუშებით წარსდგა და ორ ნომინაციაში - „საუკეთესო მუსიკა“ და „საუკეთესო პერფორმანსი“ დაჯილდოვდა. ანსამბლს პრიზები ქემერის მუნიციპალიტეტის მერმა ნეჯეთი თოფალოღლუმ გადასცა.

აღნიშნულ ფესტივალში, რომელიც იუნესკოსა და ფოლკლორული ფესტივალების ევროპული ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა, მსოფლიოს 15-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა.

სად გადის ზღვარი შვილისადმი მშობლის მეგობრულ დამოკიდებულებასა და ავტორიტეტის დაკარგვას შორის?

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

რატომ თამამდებიან შვილები მშობლებთან? - ამ შეკითხვაზე ერთი კონკრეტული პასუხი არ არის. ბევრი ზღვრის დარღვევის მიზეზად მშობლის მხრიდან ზედმეტ ლოიალურობას ასახელებს, შეიძლება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმაც იქონიოს გავლენა, ურთიერთობაში ბზარი ჩნდება დროის უკმარისობის შემთხვევაშიც. ბავშვი მეტ ყურადღებას ითხოვს მშობლისგან, რომელიც უმეტეს დროს სამსახურში ატარებს, სახლში მისულს კი შვილის გასართობად დრო და ენერგია აღარ აქვს

ბავშვი ხშირად გაჯეტების ამარა რჩება, სოციალური ქსელი კი გაჯერებულია ამ ასაკისთვის შეუფერებელი, ძალადობის ინფორმაციებით, რაც რეალობაში გადმოაქვს კიდეც. ბევრი მშობელი ნებისმიერი სახის აკრძალვას გამორიცხავს, რის გამოც ბავშვი თავის ნებაზეა მიშვებული. ფაქტია, რომ მშობლებს შვილებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების პრობლემა ხშირად ექმნებათ და ურთიერთობისას დისციპლინისა და წესრიგის დაცვას რთულად ახერხებენ. სპეციალისტების განმარტებით, შვილთან მეგობრული ურთიერთობა მასთან ნებისმიერ საკითხზე გულახდილ საუბარს ან მშობლისა და ბავშვის აბსოლუტურ თანასწორობას სულაც არ გულისხმობს. მშობლებს შეუძლიათ შვილთან ახლო, მეგობრული ურთიერთობის დამყარებაც და ავტორიტეტის შენარჩუნებაც. აუცილებელი არ არის, რომ მეგობრები ყველაფერში თანასწორები იყვნენ. მშობლისა და შვილის იდეალური ურთიერთობა სითბოს, სიყვარულს, ნდობას და გარკვეულ საზღვრებს ეფუძნება. შვილისთვის, პირველ რიგში, დედა უნდა იყოთ და შემდეგ - მეგობარი. თითოეული ბავშვი მშობლის მხრიდან ინდივიდუალურ მიდგომას და დამოკიდებულებას საჭიროებს, თუმცა მეგობრულ-ავტორიტეტული მოდელი დასავლურ კულტურაში ყველაზე მეტად ამართლებს. სად არის ზღვარი ამ ურთიერთობაში და რაში ხედავენ გამოსავალს - ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა თემებზე ბსუ-ის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელი ***ქეთევან ბერიძე*** *გვესაუბრება.*

- მშობლებისა და შვილების გართულებულ ურთიერთობაზე ხშირად ვსაუბრობთ ბოლო პერიოდში. ბევრი ამას უფლებების დაცვის მიმართულებით მოზარდების ზედმეტ ინფორმირებულობას უკავშირებს. თქვენ რას ფიქრობთ?

- მშობლებისა და შვილების გართულებული ურთიერთობები შეგვიძლია ავხსნათ სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ, მოზარდის ბიოლოგიური მომწიფებით (პუბერტატით), იდენტობის ფორმირებითა და სოციუმში ინტეგრაციით. მოზარდობა ინტენსიური, მრავალფეროვანი ცვლილებების ეტაპია. ცხოვრების ამ ეტაპისთვის დამახასიათებელი ამოცანები განსაკუთრებით სენსიტიურია გარემოს მიმართ. მოზარდობის ასაკის ორი ძირითადი ამოცანაა: 1. იდენტობის ჩამოყალიბება, როცა საკუთარი „მე“-ს ძიებაში მოზარდი გადაამოწმებს მანამდე „დასწავლილ“ წესებს, ღირებულებებს, მიზნებს, მოსინჯავს სხვადასხვა როლს, რათა პასუხი გასცეს შეკითხვებს: ვინ ვარ მე? როგორი ვარ? რა შემიძლია და რა არ შემიძლია? რითი ვგავარ და განვსხვავდები დანარჩენებისგან? 2. მშობლებისგან სეპარაცია. მშობლებისგან გამოყოფა და თანატოლებისკენ სწრაფვა გარდამავალი ასაკის ძირითადი სოციალური მარკერია, რომელიც, ერთი მხრივ, აუცილებელია, რომ მოზარდმა შეძლოს აქამდე მიღებული გამოცდილების უფრო ფართო სოციალურ წრეში გადატანა და განზოგადება, ხოლო, მეორე მხრივ, დაკავშირებულია სარისკო ქცევასთან, რადგან მოზარდს ჯერ კიდევ არ აქვს კარგად განვითარებული თვითკონტროლისა და ქცევის რეგულაციის უნარ-ჩვევები. მიუხედავად იმისა, რომ ასაკთან ერთად მოზარდები უფრო და უფრო დამოუკიდებლები ხდებიან, ოჯახი კვლავ ასრულებს ძირითადი საყრდენის როლს, სადაც მოზარდს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია „დაბრუნდეს და ძალები მოიკრიბოს“. ამ ასაკში ოჯახს და მშობლებს კვლავ დიდი პოტენციალი აქვს, გავლენა მოახდინოს მოზარდის ქცევაზე და ზოგადად, განვითარებაზე. მოზარდები ემოციურად დატვირთულ ინფორმაციას გადაამუშავებენ ლიმბურ სისტემაში, რომელიც ინსტინქტური, იმპულსური რეაგირების საფუძველს ქმნის. ამიტომ არიან მოზარდები უფრო ემოციურები, იმპულსურები და რისკიანები. ემოციები მეტ ხიბლს სძენს ცხოვრებას, თუმცა, იმის გამო, რომ მოზარდების ქცევა უფრო ემოციებითაა „ნაკარნახევი“ (გაუაზრებელია), ისინი ხშირად იმპულსურები და რეაქტიულები არიან. სოციალური ჩართულობა, სიახლის ძიება და ემოციების ინტენსიურობა, ერთი მხრივ, მოზარდის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსია, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის სარისკო ქცევის განხორციელების ალბათობას. აღნიშნული გარემოება მშობელს/ოჯახს ბალანსირებული ზრუნვის - კონტროლისა და დამოუკიდებლობის მიცემის რთული ამოცანის წინაშე აყენებს. ვფიქრობ, ინფორმირებულობა ზედმეტი არასოდეს არის, ვინაიდან ზემოაღწერილი ინფორმაცია თუ იქნება მოზარდისთვის და მშობლისთვის ცნობილი, ნაკლებად პრობლემურია ურთიერთობაში.

- რატომ არის კარგი მეგობრული ურთიერთობა?

- ბავშვის გარე სამყაროსთან ურთიერთობის პირველი გამოცდილება არის მშობელთან ურთიერთობა, რომელიც აყალიბებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ქცევის განსაზღვრულ მოდელს და გადაეცემა თაობიდან თაობას, ამიტომ სასურველია, მეგობრობის მოდელი ვაჩვენოთ ჩვენს შვილებს. მეგობრული დამოკიდებულებით შევინარჩუნებთ კავშირს და მოზარდობის ასაკის კრიზისიც ვერ დააზიანებს ჩვენ შორის არსებულ ურთიერთობებს. ასეთი მშობლების შვილები გამოირჩევიან საკუთარ თავში დარწმუნებულობით, კარგი სოციალური უნარებითა და მაღალი თვითკონტროლით.

- სად გადის ზღვარი ამ ურთიერთობაში?

- მშობლის აღზრდის სტილს განსაზღვრავს ორი ფაქტორი: მშობლის მიერ გამოვლენილი კონტროლი და სითბო. კონტროლი გულისხმობს, რამდენად მკაცრად მოითხოვს მშობელი ბავშვისაგან დადგენილი წესების შესრულებას ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად ანიჭებს ბავშვს პასუხისმგებლობას. მშობლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კონტროლი ამისთვის სჭირდებათ და არა საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებისთვის. ზღვარი მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა გადავაჭარბოთ სითბოს ისე, რომ სრულად შემცირდეს კონტროლი.

- რა შედეგები მოაქვს მეგობრულ ურთიერთობაში ზღვრის დარღვევას?

- ზღვრის დარღვევა შესაძლებელია გახდეს უსიამოვნო თავგადასავლის მიზეზი მოზარდისთვის. ბევრი მშობელი კარგად აცნობიერებს თავისი აღზრდის სტილის ნაკლოვანებებს, მაგრამ ძალიან ხშირად მათ არა აქვთ ელემენტარული ფსიქოლოგიური ცოდნა, გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები. ყველა მშობლის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ბავშვებთან დაკავშირებული სირთულეები დაუძლეველი ეჩვენება.

- ხშირად შვილები სახელით მიმართავენ მშობლებს. ხომ არ ირღვევა ამით უფროს-უმცროსობის ზღვარი და მშობლის ფუნქცია?

- უმეტესობა იმას, თუ როგორი უნდა იყოს მშობელი, ფაქტობრივად, სიტუაციურად სწავლობს, ვინაიდან ეყრდნობა საკუთარ ინტუიციას და ბავშვობის გამოცდილებას. შესაბამისად, მშობელი აძლევს უფლებას, სახელით მიმართოს შვილმა. თუ მუდმივად შვილი სახელით მიმართავს მშობლებს, ამით სრულად აუფასურებს მშობლის პოზიციას. ეს, რა თქმა უნდა, მშობლის როლის დაკნინებას უწყობს ხელს და რთულია გარჩევა, ვინ არის მათ შორის მშობელი. მშობელი გადადის შვილის როლში, ხოლო შვილი - მშობლის როლში.

- პირადად თქვენ გამოსავალს სად ხედავთ?

- გამოსავალი პრევენციული ღონისძიებების გატარებაა, კერძოდ, ეს არის მშობლის მომზადება მშობლობისთვის, საინფორმაციო კამპანიების, მოზარდებისთვის ჯგუფური თერაპიული შეხვედრების ჩატარება.

- რამდენად ხშირად მოგმართავენ მშობლები დახმარებისთვის?

- ძალიან ხშირად და განსაკუთრებით - მოზარდების მშობლები.

- სოციალური ქსელის გავლენებზეც გვესაუბრეთ...

- ყოველდღიური ცხოვრების გაჯერება მასმედიით იწვევს ქცევის გადმოტანას, შესაძლებელია, მსხვერპლი აღმოჩნდეს მშობელი. მეცნიერების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებიდან ჩანს, რომ ის ბავშვები, რომლებიც თამაშობენ ძალადობრივ ვიდეოთამაშებს, ზრდასრულ ასაკში მეტ ფიზიკურ აგრესიას ავლენენ მეწყვილის მიმართ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ურბანიზაცია, აქსელერაცია, თანამედროვე მოზარდების ავტონომიურობის გაძლიერება, ეროტიულ-სექსუალური ხასიათის ინფორმაციის ღიაობა და ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სქესობრივი ცხოვრების დაწყების ასაკის გაახალგაზრდავებას და სქესობრივი მორალის ლიბერალიზაციას.

> ***„- ზღვრის დარღვევა შესაძლებელია გახდეს უსიამოვნო თავგადასავლის მიზეზი მოზარდისთვის. ბევრი მშობელი კარგად აცნობიერებს თავისი აღზრდის სტილის ნაკლოვანებებს, მაგრამ ძალიან ხშირად მათ არა აქვთ ელემენტარული ფსიქოლოგიური ცოდნა, გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები. ყველა მშობლის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ბავშვებთან დაკავშირებული სირთულეები დაუძლეველი ეჩვენება***

- გაჯეტებზე დამოკიდებულების ზრდა უკავშირდება თუ არა იმას, რომ ბავშვები, მშობლების მოუცლელობის გამო, ეზოში თითქმის არ ატარებენ დროს, რაც მათ შემდგომ ურთიერთობებზეც აისახება?

- მშობლობა მძიმე ტვირთია. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ მშობლები ძალიან დაკავებულები არიან და გამოსავალს პოულობენ ისე, როგორც შეუძლიათ. ეზოში თამაში, თანატოლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია ადამიანის ფორმირებაში.

- რას ურჩევთ მშობლებს?

- რაც შეიძლება, მეტი კონტაქტი ჰქონდეთ შვილებთან. მოგუსმინოთ მათ, დავუჯეროთ და ვენდოთ. ნუ გავხდით ბავშვებს ჩვენი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტად. ურთიერთობაში თუ კრიზისი დადგა, ეს ნიშნავს, რომ უნდა გავზარდოთ სიყვარულის დოზა. კრიზისის შემთხვევაში, თავიანთ მოზარდ შვილებთან კონტაქტის შენარჩუნებისთვის მშობლებს ვურჩევდი ამერიკელი ფსიქოლოგის ჯეიმს დობსის სამ ფორმულას: 1. „გეყავდეს გაშლილ ხელისგულზე“ (დაეხმარეთ და აგრძნობინეთ თქვენი მხარდაჭერა, მაგრამ ზედმეტად ნუ მოუჭერთ ხელს); 2. „იყავი გვერდით, მაგრამ ნუ ჩაერევი“ (ენდეთ და მიეცით ბავშვს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების საშუალება); 3. „თუ მართლა გიყვარს, გაუშვი. თუკი არ დაგიბრუნდება, ესე იგი ის შენი არც არასოდეს ყოფილა“ (სიყვარული თავისუფლების გარეშე არ არსებობს).

რეპრესირებული

„35 წლისა დახვრიტეს, მოხარშული ჩაის კაკლის დარგვა დააბრალეს...“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ა(ა)იპ „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია „გაფას“ და „აჭარის მემორიალს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების (მემორანდუმის) საფუძველზე, ორგანიზაცია „აჭარის მემორიალი“ იძიებს 1937-38 წლებში რეპრესირებულთა შთამომავლებს, ხოლო „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ პერიოდულად იღებს დნმ-ის ანალიზს, რათა დადგინდეს, ვის მიეკუთვნება აღმოჩენილი ნეშტები

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის“ დახმარებით, მისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუციების ჩართულობითა და რეპრესირებულ პირთა ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მიმდინარეობს სამარხებიდან ექსჰუმირებული ნეშტების სასამართლო ანთროპოლოგიური შესწავლა, შთამომავლებისგან დნმ-ის ნიმუშების აღება და რეპრესირებულ პირთა იდენტიფიცირება. აღნიშნული კვლევების საფუძველზე, უკვე მოხდა სამი რეპრესირებული პირის იდენტიფიცირება, რომლთა ნეშტებიც ოჯახებმა ღირსებითა და პატივით (თავიანთი წესების მიხედვით) მიაბარეს თავიანთ საგვარეულო სასაფლაოებს.

ჩვენი სტუმარია 1937 წელს რეპრესირებული მუსტაფა ჩახვაძის შვილიშვილი ***ლევან ფაღავა,*** *რომელიც ბაბუის ისტორიაზე, ოჯახსა და მისთვის ცნობილ ფაქტებზე გვესაუბრება.*

- ბატონო ლევან, რა იცით ბაბუათქვენზე, რა ფაქტებია ცნობილი?

- ჩემი ბაბუა მუსტაფა ჩახვაძე 1903 წელს, სოფელ ორთაბათუმში დაიბადა. ის დედაჩემის მამა იყო. 1937 წელს, 35 წლის ასაკში დაიჭირეს და დახვრიტეს. როგორც ვიცი, მოხარშული ჩაის კაკლის დარგვა დააბრალეს. როცა მოხარშული კაკალი დაირგვება, ის ხომ აღარ ამოვა? ეს მაშინ დანაშაული იყო. დედაჩემი, დეიდაჩემი და ბებიაჩემი მათი ბინიდან გამოასახლეს. ახლა რომ მთავრობის სახლია, აბაშიძის ქუჩაზე, იქ ბინებში, მე-3 სართულზე, 5-ოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. ეს სახლი ბაბუაჩემის აშენებულია. როცა ბაბუაჩემი დაიჭირეს, ორთაბათუმში წავიდნენ ბებიაჩემის დედასთან და იქ ცხოვრობდნენ. შემდეგ დედაჩემი სოფელ ყოროლისთავში გათხოვდა, მამაჩემს - ილია ფაღავას გაჰყვა ცოლად, რომელიც ყოროლისთავის 8-წლიანი სკოლის დირექტორი იყო. დედაჩემსაც ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. შეუღლდნენ და იმ სკოლაში მოსწავლეებს 50-60 წელი ასწავლიდნენ. მახსოვს, საოლქო კომიტეტის მდივანს ჰყავდა მაშინ მანქანა „M-1“, მეორე კი ბაბუაჩემს, რომლითაც სამსახურში დადიოდა.

- როგორც ვიცით, დნმ-ის ანალიზი გაიკეთეთ...

- დიახ, გვითხრეს, რომ ოჯახიდან 3 ადამიანი უნდა იყოს, ვინც დნმ-ის კვლევას ჩაიტარებსო. დეიდაშვილი ქობულეთიდან ჩამოვიყვანე, ჩემი ძმა ორთაბათუმიდან ჩამოვიდა და სამივემ გავიკეთეთ. იმედი მაქვს, რომ მოხდება იდენტიფიცირება, იპოვიან ბაბუაჩემის ნეშტს და ოჯახს გადმოგვცემენ. ორთაბათუმში საოჯახო სასაფლაო გვაქვს. ბებიაჩემი სადაც ასვენია, მის გვერდით დავკრძალავდით, - გვითრა ლევან ფაღავამ.

ექსკლუზიურად „აჭარისთვის“ – ინტერვიუ „იარე, ლიზას“ სცენარისტთან

ფილმი ომში სარაფნით გაქცეული გოგონას დღიურებიდან

ფილმის „იარე, ლიზა“ (რეჟისორი - ნანა ჯანელიძე) ჩვენება ბათუმში მანამდე გაიმართა, სანამ თბილისურ პრემიერას აჟიოტაჟი, მეტიც, სცენარისტ ლია ტოკლიკიშვილის ბულინგი მოჰყვებოდა, რის საჩვენებლადაც მედია კრიტიკის მიერ გამოქვეყნებული განცხადებიდან ეს ამონარიდიც იკმარებს: „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მედია ვალდებულია, კეთილსინდისიერად გააშუქოს ფილმის შინაარსსა თუ მის გადაღებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს მაყურებელს. ამის ნაცვლად „ტვ პირველმა“ „იარე, ლიზას“ სკანდალურობის მთავარ ღერძად წარმოაჩინა „ქართული ოცნებისა“ და სუს-ის გეგმა - შეამზადოს საზოგადოება აფხაზეთის აღიარებისთვის“

ბათუმელ მაყურებელს მსგავსი არაფერი მოსვლია აზრად, როცა „ბიაფის“ საერთაშორისო საავტორო კინოფესტივალზე „იარე, ლიზა“ ნახა. მან ფილმი ემოციურად მიიღო, კიდევ ერთხელ დაიტირა ომს შეწირული ქართველი ბიჭები და დიდხანს უკრავდა ტაშს. მან მიიღო ფილმის ავტორების თვალსაზრისი, რომ ომში არც გამარჯვებული არსებობს და არც უცოდველი, რომ ფილმის მიზანი არ ყოფილა დამნაშავის ძიება, რადგან ასეთად თავიდანვე მიჩნეული ჰყავს რუსეთი. ამის ნიშანია, თუნდაც, ფილმის ანიმაციურ ნაწილში „დიდი ბელადის“ - ლენინის შეჭყიტება სოხუმელთა ფანჯრებში. აფხაზეთიდან დევნილების პროტესტმა, რომელიც მათ კინოთეატრ „ამირანში“ „იარე, ლიზას“ დემონსტრირების შემდეგ გამოხატეს, გვაჩვენა, რომ ფილმის ავტორებს, შესაძლოა, მეტი სიფრთხილე მართებდათ „მხედრიონის“ ნამოქმედარის თუნდაც ანიმაციურად აღწერისას, თუმცა მათ შესახებ ისედაც ყველამ კარგად ვიცოდით. არ ვიცი, შეიცვლებოდა რამე თუ არა ამ ფაქტების არაღიარებით, დაივიწყებდა კი ამას გინდ ქართული და გინდ აფხაზური მხარე! ვფიქრობ, ლია ტოკლიკიშვილი მზად იყო იმისთვის, რომ ბევრი თანამემამულე ამ ფილმს უარყოფითად აღიქვამდა. ეს ფილმიდანაც კი ჩანს, რომელშიც მთავარ გმირს, ტელეჟურნალისტს აფხაზებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებდნენ მაყურებლებიც და საკუთარი ოჯახის წევრებიც კი. მიუხედავად ამისა, მან აუცილებლობად ჩათვალა ამ თემაზე ასეთი განსხვავებული კუთხით ესაუბრა, თანამემამულეებისთვის აფხაზების თვალითაც დაენახებინა მტკივნეული წარსული (ფილმში გამოყენებულია აფხაზების დღიურებიც). რატომ? მაინც, რისი თქმა სურდა ამ ფილმით (სცენარი სწორედ აფხაზეთის ომში ყოფნისას

და შემდეგაც მისი ჟურნალისტური ჩანაწერების მიხედვით შეიქმნა), მართლაც, ადანაშაულებდა თუ არა იგი ქართულ მხარეს ამ ომთან დაკავშირებით რაიმეში? ამაზე პასუხებს დღევანდელ ინტერვიუში მიიღებთ, რომელიც ბათუმური პრემიერის შემდეგ ჩავიწერეთ. დიახ, თუ ადამიანი წინასწარ, რაღაც პოლიტიკური მიზნებით არ არის „დაჯავშნილი“, აუცილებლად გაიგებს, რას ამბობს ქალბატონი ლია და რა მიზნით შეიქმნა ეს ფილმი. შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ფილმი ამ მიზანს ვერ ამართლებს, მაგრამ ისეთებიც იქნებიან, ვინც მის შემქმნელთა მისიას გამართლებულად მიიჩნევს და ადამიანთა გარკვეული რაოდენობის გულებამდე ის აუცილებლად მიაღწევს.

ჩვენ შეგნებულად დავველოდეთ ამ ფილმის ირგვლივ ატეხილი ხმაურისა და ემოციების განელებას, რათა განსხვავებული შეხედულების მქონე ქართველებს უფრო დინჯად და დაფიქრებით შეეხედათ იმ თვალსაზრისისთვის, რასაც ფილმშიც და ამ ინტერვიუშიც „იარე, ლიზას“ სცენარისა და მისი გადაღების იდეის ავტორი ***ლია ტოკლიკიშვილი*** *გამოხატავს.*

- რატომ უნდა იაროს მთავარმა გმირმა, ანუ რატომ დაარქვით ფილმს „იარე, ლიზა“?

- ამ ფილმს კინოენაზე „გზის ფილმი“ ჰქვია, ანუ სიარულის დროს, მოძრაობაში ჩანს ყველაფერი. ნანამ ეს ფორმა აირჩია, რათა ეჩვენებინა ჩვენი ქვეყანა. ფილმი ემზადება ფესტივალებზე მონაწილეობისთვის. უკვე იყო სტუმრად მიწვეული რამდენიმე ქვეყანაში და უნდა ნახონ ადამიანებმა, როგორია საქართველო. დამეთანხმებით, რომ ფილმში, მართლაც, ძალიან ლამაზადაა წარმოჩენილი ჩვენი ქვეყანა. ამავე დროს ამ სათაურში არის ალეგორია იმისა, რომ ჩვენ, ყველას, გვაქვს ეს მიმართულება, ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებმაც უკვე გამოვიარეთ ეს გზა, მე და ჩემმა თაობამ...

- იქიდან - აქეთ...

- დიახ, ახლა გვაქვს სასიამოვნო აქედან - იქით და ამ დროს ხდება ადამიანის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი გარდასახვა იმ ფაქტების თხრობისას, რომლებიც ფილმს მიჰყვება. არ მეგულება ადამიანი, რომელზეც ეს არ აისახება... ყოველთვის გულდასმით ვეკითხები ყველა ჩემს მეგობარს, რომელიც ნახავს ამ ფილმს, რამე იცვლება თუ არა მასში არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. არიან ადამიანები, მე მყავს ასეთი უახლოესი მეგობრები, რომლებსაც აფხაზები სძულდათ და სძულთ დღემდე, მაგრამ როდესაც ეს ფილმი ნახეს და შეძლეს დაფიქრება, რომ ამ ომით სიკვდილი, დევნილობა, უბედურება ვნახეთ არა მხოლოდ ქართველებმა, არამედ აფხაზებმაც, რომ პირველი დევნილობა, რაც ნახა სოხუმმა, ეს იყო აფხაზების დევნილობა... როცა ამ ინფორმაციას იგებ, ხომ შეუძლებელია იმავე აზრზე, იმავე ადგილას დარჩე აფხაზეთის მიუღებლობაში, რა ადგილზეც იყავი. ჩვენი კინო სწორედ ამისკენაა მიმართული. აფხაზებისთვის ვაპირებთ იმის შეთავაზებას, რომ ეს ფილმი აფხაზეთშიც ანახონ, რადგან ის იმისთვისაა, რომ ქართველი დაფიქრდეს აფხაზის მდგომარეობაზე და აფხაზი - ქართველისაზე. ჩვენ ერთმანეთს ძალიან ვავნეთ და ამაზე მინდა დავფიქრდეთ. უნივერსუმის კანონია, რომ თუ გინდა რაიმე დაიმსახურო, ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთო. თუ არაფერი გააკეთე და მუდმივად იმ აზრზე დარჩი, რა აზრითაც ომი განვითარდა, მუდმივად ადანაშაულე აფხაზი, რომელიც არ არის მეორე მხარე, შენი მხარეა, მეორე მხარე, ანუ მოწინააღმდეგე რუსეთია, წინ ვერ წახვალ. თუ არ შეცვალე შენი დამოკიდებულება და არ გაიაზრე, რომ სწორედ რუსეთმა მოახერხა შენი და აფხაზის ერთდროული დამარცხება, იმითი, რომ გაგთიშათ, შეგაძულათ ერთმანეთი, დაგაპირისპირათ, ისე არაფერი გამოვა. ლენინის ქანდაკება, რომელიც ფილმის ანიმაციურ ნაწილში იჭყიტება სოხუმელების ფანჯრებში, სწორედ ამაზე მიგვანიშნებს. ასე იყურება იგი ჩვენს ფანჯრებშიც, ეს არის რუსული მონსტრის სიმბოლო, რომელმაც მოახერხა როგორც აფხაზის, ასევე ქართველის განდევნა - ერთის ფიზიკურად (ქართველის), მეორის - ყველანაირი გააზრებით, რადგან აფხაზი დღეს მეორეხარისხოვან მდგომარეობაშია. ეს იყო ჩვენი ფილმის სათქმელი, მიზანი და მგონია, რომ ასეთი ფორმით, როგორიც ნანამ აირჩია, ჩვენ მიზანს მივაღწიეთ.

- ფილმი აგებულია ჟურნალისტის ჩანაწერებზე, მაგრამ ისინი მხოლოდ თქვენი ჩაწერილია თუ ნაკრებია სხვადასხვა ჟურნალისტის ჩანაწერისა?

- მხოლოდ ჩემი ჩანაწერებისა და ნიუტონას დღიურის მიხედვით, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ჯარისკაცის ნაამბობისაგან. მათი მიხედვით დავწერე მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა, რომელიც მალე წიგნადაც გამოვა.

- მხოლოდ აფხაზეთის ომის მსვლელობისას ჩაწერეთ თუ უკვე სამშვიდობოზე გამოსულიც იწერდით ამ დღიურისთვის ჯარისკაცთა ნაამბობს?

- სოხუმში რომ ჩავდიოდი, ჩვენი მასპინძლები იყვნენ სხვადასხვა ბიჭები. ერთ-ერთ მათგანს, მართლაც, ნიუტონა ერქვა და დღიურებსაც წერდა. მართლაც, ვეხვეწებოდი, წაეკითხებინა ჩემთვის მისი დღიური, მაგრამ არ წამაკითხა. შემდეგ ნიუტონა თავის დღიურებიანად აფეთქდა თვითმფრინავში. ეს ეპიზოდი, ცოტაოდენი ცვლილებით, შესულია ფილმში - თითქოს ნიუტონა დღიურს თვითმფრინავის ტრაპიდან უგდებს ფილმის მთავარ გმირს, მაგრამ სინამდვილეში ეს დღიური დაიწვა ნიუტონასთან ერთად ბაბუშერას აეროპორტში იმ დღეს, როცა ჩვენ - მე და შორენა ლებანიძე ვერ ავედით იმ თვითმფრინავში, რომელიც აფეთქდა. მერე ვცადე, აღმედგინა წარმოსახვაში, როგორ დღიურს დაწერდა ნიუტონა. ვისმენდი ჩემს ჟურნალისტურ ჩანაწერებს, რომლებიც ჩამოტანილი მქონდა, მერე დამატებით დავდიოდი ჩამოსულ ჯარისკაცებთანაც და მათგანაც ვიწერდი ნაამბობს. ასე შეიქმნა ეს დღიური... ნადეჟდა ცირდავასთან საუბრის ჩანაწერიც გამოვიყენე ფილმის სცენარისთვის, რომელიც, ასევე, მხატვრულ-დოკუმენტური პროზაა.

- და თქვენს წიგნშია, ალბათ, შეტანილი ესეც.

- დიახ, და ასევე შევა მესამე მოთხრობაც - „მკვდარი ქალაქის ჩანაწერები“. ეს სამი მოთხრობა დაბეჭდა ერთ წიგნად ბაკურ სულაკაურის გამოცემამ.

- თქვენ ხართ ამ ფილმის მთავარი გმირის პროტოტიპი?

- ამ ფილმში ბევრი რამ არის შეთხზული. ბევრიც - რეალურია. რომელია რეალური და რომელი - გამოგონილი, არ მინდა დაკონკრეტება, რადგან ეს ჩემს პირად ცხოვრებას, კონკრეტულ ადამიანებს ეხება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის ფილმი და ფილმები არასდროს ზუსტად არ იმეორებს ადამიანების ცხოვრებას. ეს არის ჩემი და ნანას სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი. მთავარი გმირი ალბათ უფრო კრებითი სახეა ჟურნალისტისა ამ ომში. ჩემი თაობიდან არაერთი ჟურნალისტი ყოფილა ამ ომში და ყველას გადაგვხდენია ერთმანეთის მსგავსი თავგადასავლები. მაგალითად, ოჩამჩირის დაცემის ეპიზოდი ზუსტად ისეა გადმოცემული, როგორც ჩვენ ვნახეთ და როგორც გამოვედით იქიდან... დიახ, რამდენიმე ეპიზოდი პირდაპირ გვაქვს გამეორებულ-გადმოღებული.

- ძალიან სიმბოლური და საგულისხმოა ისიც, რომ ფილმში სწორედ აფხაზი ჩადის კეთილშობილურ საქციელს და არა - ქართველი. აქ „სტუმარ-მასპინძელი“ მახსენდება, სადაც, ასევე, სხვა ეროვნების წარმომადგენელი - ქრისტი გამოდის ქართველის დამცველად. ეს იდეა საიდან წამოვიდა?

- დავიწყოთ იმით, რომ რეალურადაც ძალიან ბევრმა აფხაზმა გადაარჩინა ქართველები, ისე, როგორც ძალიან ბევრმა ქართველმა გადაარჩინა აფხაზები. ჩვენ ყოველთვის ვყვებით იმაზე, რომ ქართველმა გადაარჩინა აფხაზი, ყოველთვის ამაყები ვართ იმით, რომ ქართველი არის ასეთი... მართლაც, ვართ კარგები, მაგრამ, მოდით, ერთხელ გავბედოთ, ვთქვათ, რომ ისიც - ჩვენი მტერიც, ზოგჯერ არის კარგი, მანაც ჩაიდინა ერთხელ, სადღაც ასეთი კარგი საქციელი. რა იცი, რა დივიდენდი უნდა მოიპოვო ამით. საერთოდ, სახალხო დიპლომატია ამაზეა აწყობილი, მტერთანაც კი გამონახო საერთო ენა.

- ფილმში ნაწყვეტიც ისმის „ბალადა ვეფხისა და მოყმისადან“... „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედ სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა“...

- დიახ, ეს ლექსი ხომ ქართულია და ქართული მსოფლმხედველობაა მასში, რატომ არ შეიძლება, რომ ახლა, 21-ე საუკუნეში ეს მსოფლმხედველობა გავაცოცხლოთ, რატომ არ შეიძლება, რომ ვიფიქროთ იმაზე, რომ იქაც, იმ ადამიანებისთვის, იქნებ, სამძიმარი გვაქვს სათქმელი? ყოველთვის სხვას ხომ არ დაელოდები... ჩვენი - ქრისტიანული ფილოსოფიის პრინციპი რა არის? აღსარების სათქმელად მოძღვართან რომ მიდიხარ, შენს მოსანანიებელს იმიტომ ხომ არ ინანიებ, რომ ელოდები, სხვაც მოინანიებს. შენ ხარ შენი სულის წინაშე პასუხისმგებელი, ამ ვერტიკალში მოძრაობ, რომ თქვა, გაუშვა და იქიდან მიიღო რაღაც. ზუსტად ასევეა ამ შემთხვევაშიც. შენ რაც გაქვს ამოსათქმელი, უნდა ამოთქვა, ამოიძახო და პასუხს მიიღებ აუცილებლად ზემოდან.

- ფილმი ძალიან თბილად ამბობს სათქმელს, ყველაფრიდან ჩანს, რომ პატიებისკენ წასვლა ძალიან რთულია, თუნდაც მონაზონთან სცენაში, სადაც ის ამბობს, რომ ვერ ლოცულობენ აფხაზებისთვის...

- დიახ, ეს ძალიან რთულია, ამას აკეთებენ მხოლოდ გამორჩეული ადამიანები. იცით, მე გეტყვით, რამ მიბიძგა, მეფიქრა აფხაზებზე. მიბიძგა იმან, რომ ერთხელ გავაკეთე ინტერვიუ გურამ ოდიშარიასთან, რომელმაც მიამბო სრულიად არაჩვეულებრივი ამბავი. მას ჰყავდა მეგობარი, აფხაზი მწერალი დაურ ნაჭყეტია და როდესაც გურამმა საკუთარი ცნობილი „უღელტეხილი“, რომელშიც ტანჯვის გზა არის გადმოცემული,

> ***„რატომ არ შეიძლება, ასევე, ორ ჯგუფს, ორ ხალხს შორის აღდგეს ურთიერთობა? ხალხებს ხომ საზოგადოება, სოციუმები ქმნის. რატომ არ შეიძლება, ამ გზით წავიდეთ და რაღაცები ერთმანეთთან ვაღიაროთ? მოდი, ჩვენ დავიწყოთ და მერე ისინი აგვყვებიან, ოღონდ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს იმის ხარჯზე, რომ დავთმოთ, ან უარი ვთქვათ იმაზე, რაც ჩვენი სამშობლოა***

იხ. მე-6 გვ.

„ვცდილობ, ბოლომდე ჩავდო ჩემი რესურსი და გამოცდილება იმ საქმეში, რომელსაც ვემსახურები“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ლორჯომელმა **ნატო ირემაძემ** 10 წელი ჯავახეთის ზეგანზე, კერძოდ, ნინოწმინდის რაიონში გაატარა, სადაც, როგორც რაიონული ჰოსპიტლის მთავარმა მენეჯერმა და ექიმმა, კარგი სახელი დატოვა.*

- ქალბატონო ნატო, ბაბუას - რევაზ ირემაძეს ოცნება აუსრულეთ და ყველაზე ჰუმანური პროფესია აირჩიეთ. რაა მთავარი, რომ 21-ე საუკუნეში ექიმმა საზოგადოებას თავი დაამახსოვროს?

- პირველ რიგში, დიდი მადლობა ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისთვის. მართალი ხართ: ბაბუაჩემს განსაკუთრებულად უყვარდა ექიმები და უდიდესი პატივისცემით იყო განმსჭვალული მედიცინის მუშაკების მიმართ. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ჩემს ექიმობას. 21-ე საუკუნეში ისე განვითარდა მედიცინა, სამედიცინო ტექნოლოგიები, სწავლებისა და მკურნალობის მეთოდებიც, რომ რთულია ვინმესგან გამოირჩეოდე, ვფიქრობ, პირველ რიგში, ადამიანური თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ექიმი და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ის საზოგადოების ღირსეული წევრი და კარგი ექიმი.

- ნინოწმინდელები დღემდე გემადლიერებიან, სამადლობელ სიტყვებს არ იშურებენ თქვენს მიმართ...

- 30 ოქტომბერს ორი წელი შესრულდა, რაც ნინოწმინდიდან ბათუმში გადმოვედი საცხოვრებლად. ამ ხნის განმავლობაში ჩემი იქაური კოლეგები, ნაცნობები თუ მეგობრები თითქმის ყოველდღიურად მირეკავენ, მწერენ, ძველებურად აგრძელებენ საიუბილეო, სადღესასწაულო თარიღების მოლოცვას. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი ამას და ძალიან მიხარია.

- რთულ დროს იმუშავეთ იმ რეგიონში, სადაც ქართულ ენაზე საუბარსაც ვერ გაიგონებდით. იმ პატრიოტ ქართველთა რიგებში გასახელებენ, რომლებმაც ძირძველ ქართულ მიწაზე ეროვნული თვითმყოფადობის გაცოცხლება შეძლეს. რა დაგამახსოვრდათ ქართველთა და ამ მიწაზე თითქმის ორი საუკუნის წინ დასახლებული სომხების ურთიერთობებიდან?

- ძალიან რთულია, იცხოვრო და იმუშაო ისეთ რეგიონში, სადაც 29 ათასი ადამიანი ცხოვრობს და აქედან 99 პროცენტს ქართულად, სახელმწიფო ენაზე ვერ ეკონტაქტები. ასევე, რთულია, თუ იქ არ ცხოვრობ, რეალურად გააცნობიერო, რა ვითარებაა სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში. სახელმწიფოს ინტერესები თუ არ დააყენე პირველ ადგილზე, ჩათვალე, რომ ტყუილად გიშრომიათ. ვფიქრობ, ასეთ რეგიონებში დასაქმებული ქართველები დიდ საქმეს ემსახურებიან და მათი ეს შრომა დაფასებული უნდა იყოს. ნინოწმინდის კლინიკაში ხელმძღვანელად მუშაობა როცა დავიწყე, სამწუხაროდ, მიწევდა დილის თათბირების და კონფერენციების რუსულ ენაზე წარმართვა, იქაურ ექიმებს, უმაღლესი განათლება რუსეთში ან სომხეთში ჰქონდათ მიღებული. შემდეგ თანდათან გადავერთეთ ქართულ ენაზე. სამედიცინო ისტორიებს რუსულად აწარმოებდა და ავსებდა იქ მომუშავე სამედიცინო პერსონალი, რაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 2011 წელს გამოცემული ბრძანების დარღვევა იყო. დავიწყე ყველა პროფილის ექიმისთვის დიაგნოზებისა თუ ფორმების ასლების შაბლონების ქართულ ენაზე გადაკეთება, ვწერდი კურსებს და დასკვნებს მათთვის. დიდი დრო კი დამჭირდა ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ მე ეს შევძელი. ასევე, ხელს ვუწყობდი და ვთხოვდი ჩემთან მომუშავე პერსონალს, რომ ნინოწმინდის რაიონში გახსნილ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ენის სწავლების უფასო პროგრამაში ჩართულიყვნენ. მათაც დაიწყეს სწავლა. როცა ნინოწმინდაში გადავედი საცხოვრებლად, თავდაპირველად სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმად დავიწყე მუშაობა. ვცდილობდი, ჩემი მომსახურებით ყველა კმაყოფილი ყოფილიყო. პაციენტებს, რომლებსაც უფრო მაღალტექნოლოგიური კვლევა თუ მკურნალობა სჭირდებოდათ, ვამისამართებდი დედაქალაქში. ყოველი გამოძახების დროს ვაცნობდი პაციენტსა და მათ ნათესავებს, თუ რა უფასო სახელმწიფო და ხელმისაწვდომი პროგრამები მოქმედებდა მოსახლეობისთვის, რასაც, სამწუხაროდ, ენის უცოდინრობის გამო ვერ ეცნობოდნენ და სომხეთში ერჩივნათ სამკურნალოდ გადასვლა. ყველანაირად ვცდილობდი, მოსახლეობის ინტეგრირება მომეხდინა ქართველ ექიმებსა და დედაქალაქთან, ამჟამად ძალიან ბევრმა სომეხმა ახალგაზრდამ უმაღლესში სწავლა, სომხეთის ნაცვლად, თბილისში გააგრძელა და ეს იმ კარგი და სასარგებლო პროექტების დამსახურებაა, რომლებსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს.

- იმ წლებს ემთხვევა ნინოწმინდაში დაარსებული სკოლა-პანსიონის მუშაობა. თქვენი აზრი მის მაშინდელ და ახლანდელ მდგომარეობაზე...

- მაშინ დიდი და ეროვნული საქმე გაკეთდა და იგი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

- ერთადერთი შვილი სტუდენტი გყავთ. მომავლის პროფესიად რა აირჩია?

- ჩემი ქალიშვილი სამედიცინო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მის არჩევანში არავინ ჩარეულა. მიხარია, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ძალიან დამოუკიდებელია, იცის, რა სურს და საკუთარ ინტერესებს იცავს.

- თქვენი მშობლები, აწ განსვენებული მამა თამაზ ირემაძე და ქალბატონი მაყვალა საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. რით დაგამახსოვრათ თავი მამამ და რას უსურვებთ 60 წელს გადაცილებულ დედას?

იხ. მე-7 გვ.

ექსკლუზიურად „აჭარისთვის“ – ინტერვიუ „იარე, ლიზას“ სცენარისტთან

ფილმი ომში სარაფნით გაქცეული გოგონას დღიურებიდან

მე-5 გვერდიდან

დაწერა, გაუგზავნა დაურს სოხუმში. იქამდე გაიგო, რომ დაურს ქართველებმა ძმა მოუკლეს. მას იარაღი დიდხანს არ აუღია ხელში, მხოლოდ ძმის სიკვდილის შემდეგ გააკეთა ეს, ამის შემდეგ იქცა ქართველების მტრად, ჯარისკაცად, რომელიც ჩვენ გვხოცავდა. გურამმა გაბედა და მისწერა ამ ადამიანს: - დაურ, მეც მაპატიე... და ვიფიქრე, თუ გურამ ოდიშარიამ, რომელმაც დაკარგა ყველაფერი - სახლი, სამშობლო, უახლოესი მეგობრები, ნათესავები, გამოიარა ჭუბერი ტყვიით მუხლში... იცით, დღემდე როგორ მდგომარეობაშია, თუ მან შეძლო, რომ პირიქით, აქეთ ეთხოვა პატიება აფხაზისთვის, მტრისთვის, რატომ ვერ უნდა შეძლოს ეს სხვამ. დაურმა უპასუხა და ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. მათ შორის გაიბა მეგობრობა, მერე დაწერეს საერთო რომანი, ანუ ორ ადამიანს შორის აღდგა ურთიერთობა. რატომ არ შეიძლება, ასევე, ორ ჯგუფს, ორ ხალხს შორის აღდგეს ურთიერთობა? ხალხებს ხომ საზოგადოება, სოციუმები ქმნის. რატომ არ შეიძლება, ამ გზით წავიდეთ და რაღაცები ერთმანეთთან ვაღიაროთ? მოდი, ჩვენ დავიწყოთ და მერე ისინი აგვყვებიან, ოღონდ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს იმის ხარჯზე, რომ დავთმოთ, ან უარი ვთქვათ იმაზე, რაც ჩვენი სამშობლოა. ეს ხაზია სწორედ გატარებული ამ ფილმში - რუსები დგანან და არ გვიშვებენ, ერთმანეთთან არ გვიშვებენ, არა მხოლოდ ადამიანებთან, არამედ იმასთან, რაც ჩემი სამშობლოა... ამას აკეთებს არა აფხაზი, არამედ რუსი. საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ხმა მიეწვდინა მსოფლიოსთვის ვერც მაშინ, ვერც მერე, რომ უკრაინამდე რუსეთმა საქართველო ჯიჯგნა, უკრაინაზე რამდენჯერ პატარა ქვეყანა... და ჩვენ ერთი წელი გავუძელით ამ ომს. მარტოებმა შევძელით, ერთი წელი არ დაგვეთმო ჯერ გაგრა და მერე სოხუმი. ეს ხომ არ არის პატარა რამ! ფილმში ანიმაციითაა გამოხატული, როგორ იხოცებიან ქართველი ჯარისკაცები ყველასგან მიტოვებულები - გენერლებისგან, პოლიტიკოსებისგან, ხელისუფლებისგან, ეს იყო ჩვენი თაობა.

- იყო შერცხვენისა და გმირობის ამბავი...

- ერთდროულად იყვნენ ესენი ნარკომანებიც, მოროდიორებიც და გმირებიც... ასეთი ჯარისკაცები ჰყავდა ქვეყანას და ასეთი ჯარისკაცები იხოცებოდნენ ერთი სახლისა და ერთი ქუჩისათვის ბრძოლებში, ჩვეულებრივი ბიჭები, რომლებიც შეიძლება სხვა სიტუაციაში ვერც კი შეგემჩნია - არც სხვაზე ლამაზები, არც სხვაზე განათლებულები... შეიძლება ზოგიერთს ერთი ლექსიც არ ჰქონდა წაკითხული სამშობლოზე, მაგრამ ისინი სხვა თავგანწირვით, სხვა ინსტინქტით კვდებოდნენ... არ ტოვებდნენ ობიექტს... მაგალითად, მიამბეს ასეთი ამბავი: ერთი მესხი ბიჭი, რომელიც იმდენად შეუმჩნეველი იყო ჯარისკაცებს შორის, მისი სახელი და გვარიც არავინ იცოდა, იყო თავისთვის. როდესაც გაგრა ეცემოდა, ჯარისკაცები ჯერ მოსახლეობას უშვებდნენ წინ, მერე კი, რადგან ვეღარ ასწრებდნენ გადასვლას, ხიდთან, მოსახვევში გაჩერდა ეს მესხი ბიჭი, მეტყვიამფრქვევე, სხვებს ანიშნა, რომ უკან დაეხიათ და მთელი ოცი წუთის განმავლობაში შეაჩერა რუსები, რათა სხვებისთვის წასვლის საშუალება მიეცა, თავად კი გმირულად დაიღუპა. მისი სახელი და გვარი დღემდე არ არის ცნობილი. აი, ასეთი ბიჭები იყვნენ! ამაზეც არის ეს ფილმი, ეს ფილმი ბევრ რამეზეა, ჩვენს ისტორიაზეა, რომელიც არ უნდა დაივიწყო და ჟურნალისტის პროფესიაზეც, რომლებსაც შეგვიძლია, გამორჩეული ისტორიები დავუტოვოთ ქვეყანას. ამას აკეთებდა ჩვენი გაზეთი „შვიდი დღე“ და ეს სცენარიც მოვიდა იმ პუბლიკაციებიდან, რომლებსაც ჩვენ ვწერდით... ყველაფერზეა ეს ფილმი, იმ თაობაზე, იმ წლებზეა, როცა ჩვენ ვიყავით პატარა ლიზას ტოლები და მართლა ასე, სარაფნებით, გავრბოდით ცხელ წერტილებში, ვიპრანჭებოდით, ომი სხვა რამ გვეგონა, ჩავდიოდით იქ და სიკვდილის მანქანა გვხვდებოდა. აი, ასე, ომმა გვასწავლა ბევრი რამ.

- ფილმში აფხაზს გამოჰყავს მთავარი გმირი წართმეული ოჩამჩირიდან, გადაჰყავს მდინარეზე, როგორც საზღვარზე ორ მტრულ მხარეს შორის. მსგავსი ისტორიაც მართლა მოხდა თუ გამოიგონეთ?

- მსგავსი მართლაც იყო, ოღონდ სხვა - სამეგრელოს ომში. ჩვენ გადმოვდიოდით მდინარე ცხენისწყალზე, ზვიადისტმა ჯარისკაცებმა მიგვიყვანეს მდინარის შუაგულამდე, სადაც სამთავრობო ჯარისკაცები დაგვხვდნენ და გადმოგვიყვანეს. მაშინ მართლა კინაღამ წამიღო წყალმა, სიცილიც აგვიტყდა, სიგარეტების გაცვლაც იყო, ყველაფერი, როგორც ფილმშია... ბევრი რამ იყო... ეს ამბავი ჯერ ასევე შევიტანე სცენარში, მერე კი გადავაკეთე აფხაზზე, ამიტომ წინაისტორიაც მოვუფიქრეთ, ასე გამოვიდა ამ პერსონაჟის ამბავი.

- ფილმის გადაღების იდეაც თქვენი იყო, ისევე, როგორც სცენარის?

- დიახ, ნანა ჯანელიძე მოვძებნე და მივწერე, რომ მაქვს ასეთი არაჩვეულებრივი მასალები და აუცილებლად უნდა მივუტანო. მაშინ ახლოს არ ვიცნობდი. დიდი ხალისით არ დამთანხმდა, მაგრამ როცა გავუზიარე ჩანაფიქრი და მასალაც წავაკითხე, მასზე ძალიან იმოქმედა გურამ ოდიშარიას ინტერვიუმ, სადაც გურამი ამბობს: „მეც მაპატიე“... და მერე თქვა: „მაშინ ამიფეთქდა ტვინში“... არ დაგავიწყდეთ, რომ ნანა არის ფილმ „მონანიების“ თანაავტორი და მას აქვს ბმა იმ მონანიებასთან, რამაც მართლა მოახდინა გარდატეხა თავის დროზე მთელ თაობაში. „მონანიებაშიც“ ეს არის - პერსონაჟი ინანიებს, რათა დაიმსახუროს მომავალი, იმისთვის, რომ მოხდეს მისი განწმენდა. სხვათა შორის, ნანას უთხრა ერთმა მისმა მეგობარმა: „შენ ახლა იღებ „მონანიება“-2-ს.

- სოხუმში თუ ყოფილხართ მას მერე?

- არა! რამდენჯერმე მქონდა შანსი, მაგრამ არ წავალ, ვერ წავალ მე სხვის სოხუმში. იქ ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი დარჩა, თვითონ მე სოხუმიდან და ოჩამჩირიდან ძლივს გამოვასწარი... მაგრამ გურამ ოდიშარიასთან ინტერვიუს შემდეგ, რომელზეც ზემოთ გითხარით, დავიწყე აფხაზებთან მიმოწერა სოცქსელში, მართლა ვცადე აფხაზებთან დაახლოება, აფხაზების ჩანაწერების კითხვა დავიწყე. დავიწყე აფხაზებთან საუბარი, მიწერ-მოწერა და აღმოჩნდა, რომ აფხაზები პირადში ყოველთვის მპასუხობდნენ, მიყვებოდნენ ათას ამბავს, მაგრამ საჯაროდ - არა. არავისთვის მომიყოლია ეს ამბავი, თქვენ გეუბნებით პირველად. „იარე, ლიზა“ არის პირველი ფილმი და პირველი კულტურული პროდუქტი, რომელშიც აფხაზები მონაწილეობენ. აქ არის გამოყენებული აფხაზური დღიურები - ჯუმა ახუბასი და ტაიფ აჯბასი და ისინი პირატულად კი არ წამოგვიღია, არამედ - მათი ოჯახების თანხმობით. ჯუმა ახუბა სანამ მოკვდებოდა, უფლება მოგვცა, ქართულ ფილმში ყოფილიყო მისი - აფხაზი მწერლის დღიურები! ეს ხომ ძალიან მნიშვნელოვანი რამაა.

- ეს პირდაპირი კონტაქტებით მოხდა?

- დიახ, პირდაპირი კონტაქტებით, რადგან ჯუმა ახუბა ძალიან ბევრი ქართველი მწერლის მეგობარი იყო. ის ომის პერიოდში, ცნობილი ფაქტია, მხედრიონისგან დახვრეტას გადაარჩინა მწერალმა ლაშა თაბუკაშვილმა. მოასწრო ჯუმამ იმის თქმა, რომ ლაშა თაბუკაშვილის მეგობარია. გადაურეკეს ლაშას, რომელმაც მხედრიონელებს უთხრა, ვჯდები მანქანაში, მოვდივარ ტყვარჩელში და ჯუმას ერთი ღერი თმა რომ ჰქონდეს თავზე შერხეული, შევაკვდები მაგ ამბავსო. ასე გადაარჩინა. ჯუმას ძალიან უყვარდა ქართველები... მისი შვილი იბრძოდა ამ ომში ქართველების წინააღმდეგ. ძალიან ტრაგიკულია ბევრი აფხაზისთვის ეს ომი, ქართველებისთვის - თავისთავად. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ საკუთარ უბედურებაში კი არ ვიხარშოთ ბოლომდე, იმათთანაც გადავიხედოთ - იქ რა ხდებოდა და გავიაზროთ, რომ ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები ვერცერთ აფხაზს, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო, ისე როგორც ბევრი ნამდვილი აფხაზი დამეთანხმება იმაში, რომ აფხაზეთი არ არის აფხაზის... მაგრამ რუსეთმა მოახერხა მისი დასაკუთრება. აი, ეს უნდა დავინახოთ, გავაცნობიეროთ და თუ ჩვენ არ დავიწყეთ ეს, აფხაზი ვერ გააკეთებს, რადგან ცოტანი და აბსოლუტურად ლოკალიზებულნი, ჩაკეტილები არიან, ინფორმაცია არ აქვთ, სახელმწიფო არ აქვთ.

- ბევრს ეშინია, ხმამაღლა თქვას, რომ აქედან მათკენ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, ანუ არაპოპულარულია ის სათქმელი, რაც ამ ფილმშია...

- ჰერმან ჰესე ამბობდა: „ნოვატორია ის მაიმუნი, რომელიც პირველად ჩამოვიდა ხიდან და გაიარა მიწაზე, რადგან დასაბამი მისცა ადამიანების მოდგმას და ის თევზი, რომელიც გამოვიდა წყლიდან და დაიწყო სუნთქვა, რითაც დასაბამი მისცა დედამიწაზე ცხოვრებას. პირველმა რაღაც უნდა თქვა, რაღაც უნდა გააკეთო. ჩვენ ჟურნალისტიკაში ამას სულ ვაკეთებდით და ფილმში ამის გადმოტანა და ტრანსფორმირება იმიტომ არის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი, რომ მასშტაბური პროდუქტი, მასშტაბური ხელოვნებაა. ამას ნახავენ ადამიანები, ეს დარჩება, ძალიან ბევრი თაობა ნახავს და ჩვენ თუ ვერ მოვასწარით მონანიება იმისთვის, რომ მივიღოთ ამის შედეგად სამშობლო, ისინი გააკეთებენ ამას!

მარინა მითაიშვილი

„ვცდილობ, ბოლომდე ჩავდო ჩემი რესურსი და გამოცდილება იმ საქმეში, რომელსაც ვემსახურები“

მე-6 გვერდიდან

- მამაჩემი 1952 წელს გადასახლებაში დაიბადა. დედა - სურიე ზოიძე-ირემაძესა და დასთან ერთად მრავალი განსაცდელი გამოიარა. 13 წელი ღორჯომის თემის გამგებელი იყო. მაშინ ასეთი სტატუსი ჰქონდა მერის წარმომადგენელს. დიდი ავტორიტეტით და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა, ყველაზე მეტად რაც დამამახსოვრდა მისი უამრავი დადებითი თვისებიდან - ადამიანების უანგარო დახმარება, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სთხოვდა ვინმე დახმარებას თუ არა. ამას უჩუმრად აკეთებდა. დედაჩემს კი ვუსურვებ ჯანმრთელობას და მოთმინებას. ჩემს მშობლებს სიკეთის და სიყვარულის მეტი არაფერი უთესიათ ცხოვრებაში და ეს ოჯახში, მომავალი თაობის სწორად და პატიოსან პიროვნებებად აღზრდის პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია.

- თამაზ ირემაძე მრავალი სიახლის წამომწყები იყო. მის სახელს მიეწერება სახალხო დღესასწაულების წამოწყება და დანერგვა, ღორჯომის ცენტრში კულტურის სახლის მშენებლობა, სპორტის ცალკეული სახეობისადმი თანადგომა. ეს ამაგი რით დაუფასეს და შვილები მის გზას როგორ აგრძელებთ?

- მე და ჩემი ძმები ვცდილობთ, ისე ვიცხოვროთ, რომ ვასახელოთ ჩვენი მშობლები. ვამაყობთ წინაპრებით, მათ მიერ განხორციელებული პროექტებით, დანერგილი სიახლეებით და ვცდილობთ, მათ ავტორიტეტს ჩრდილი არ მივაყენოთ. მიხარია, რომ გასულ წელს მამაჩემის სახელი მიანიჭეს ღორჯომის კულტურის სახლს, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ხულოს მერიას და საკრებულოს.

- პრესტიჟული სამსახური გაქვთ ბათუმში. გარემოებამ რომ მოითხოვოს და ნინოწმინდაში დაბრუნება შემოგთავაზონ...

- ორი წელია, რაც ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის კლინიკურ მენეჯერად ვმუშაობ, ძალიან საპასუხისმგებლო პოზიციაა. ვცდილობ, ბოლომდე ჩავდო ჩემი რესურსი და გამოცდილება იმ საქმეში, რომელსაც ვემსახურები. მიხარია, რომ ეს ყველაფერი მიფასდება. ნინოწმინდაში დაბრუნებას რაც შეეხება, გიპასუხებთ: ქალიშვილი სტუდენტი რომ გახდა, მაშინ გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება, გვინდოდა, გოგონასთან ახლოს ვყოფილიყავით და მხარი დაგვეჭირა მისთვის სწავლის პერიოდში.

- მშობლიური ღორჯომი, იქ მიმდინარე პროცესები, თქვენს იქაურ თანამეცხედრე მამუკა წინწკალაძის ცხოვრებაში რა ადგილს იჭერს?

- მე და მეუღლეს გვსურს, რომ ღორჯომის ტურისტული პოტენციალი სრულიად იქნას გამოყენებული. ვიცით, რომ რამდენიმე პროექტი დაიწყო ამ მიმართულებით. ჩემი სოფლის ხალხი, შრომისმოყვარეობითა და სტუმარმასპინძლობითაა განთქმული. მიხარია, რომ იქ დავიბადე და გავიზარდე, მიყვარს და მეამაყება ჩემი კუთხე, ჩემი საქართველო. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

ბათუმის „დინამო“ თასის ფინალშია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

წელს ჩვენი გუნდი სახელოვან თარიღს - დაარსებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს. თავისი არსებობის ისტორიაში ბათუმის „დინამოს“ (მწვრთნელი - ანდრეი დემჩენკო) შანსი ეძლევა დავით ყიფიანის სახელობის თასი მეორედ მოიგოს - გუნდი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია და თასის გათამაშების ფინალშიც გავიდა. პირველად აღნიშნული თასი გუნდმა 1998 წელს დაისაკუთრა და მაშინ ფინალში თბილისის „დინამო“ დამატებით დროში დაამარცხა

გუშინ ნახევარფინალურ შეხვედრაში ბათუმელები სტუმრად კრისტალბეთ ეროვნულ ლიგა 2-ში მეორე ადგილზე მყოფ ფოთის „კოლხეთს“ (მწვრთნელი - დავით კვირკველია) დაუპირისპირდნენ და დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს.

ბათუმელთაგან პირველი გოლი ფაცაციას პასით იაკობსენმა გაიტანა. მალევე მასპინძლებმა ჯიჯავაძის ზუსტი პენალტით წონასწორობა აღადგინეს, თუმცა მატჩის მიწურულს ჯოვინო ფლამარიონის გოლმა „დინამო“ ფინალში გაიყვანა.

ჩვენს გუნდს ეროვნულ ლიგაში ჩემპიონობამდეც რამდენიმე ქულა აშორებს, ასე რომ, ბათუმის „დინამო“ სეზონის დუბლით დასრულებასთან ძალიან ახლოსაა.

თასისთვის ფინალურ შეხვედრას დეკემბერში თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი უმასპინძლებს. მატჩის ჩატარების თარიღი ჯერ უცნობია.

მარადიული

მიხეილ მახარაძე

ჩემო მიშა, სტუდენტობის დროინდელო, 60-წლიანი ხანდაზმულობის მეგობარო, 40 დღე გადის შენი გარდაცვალებიდან. სრულიად მოულოდნელად შეწყდა შენი სიცოცხლე, შეწყდა ჩვენი შეხვედრა-საუბრები, აზრთა ჩვენეული გაცვლა-გამოცვლა ქვეყანაში თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საკითხებზე, პირადულ თუ საქმიან პრობლემებზე.

ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული მოსაზრების მიუხედავად, ჩვენი მეგობრობა იმდენად გახმაურებული იყო, რომ ადამიანები გულწრფელად, გულისტკივილით მისამძიმრებდნენ შენს გარდაცვალებას. ეს სწორად დანახული რეალობაა. მაშინაც კი, როდესაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წავიკითხე მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნეკროლოგი და აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის სამძიმრის წერილი ოჯახისადმი, ისევ გამიჩნდა სურვილი, ოღონდ მტკივნეული, აუხდენელი სურვილი აზრთა ურთიერთგაზიარების და უპირველესად იმის თქმის, რომ შენ დიახაც იმსახურებდი და უახლოეს მომავალში დაამშვენებდი კიდეც აკადემიას შენი სამეცნიერო-შემოქმედებითი მიღწევებით და პიროვნული თვისებებით.

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ შენს შემთხვევაში ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო. არაფერი უწყოდა ასეთ შედეგს. შენი ცხოვრება მიდიოდა ჩვეულებრივად, გარკვეული (სიცოცხლისათვის უწყინარი) პრობლემების მიუხედავად, შენ იყავი სრულ სამუშაო ფორმაში, შემოქმედებითი გეგმებით დატვირთული, სამშობლოს ხვალინდელ დღეზე კვლავინდებურად მოფიქრალი, უხმაუროდ კარგი საქმეების მკეთებელი და რაოდენ სიმბოლურია, რომ ასე უხმაუროდ და ჩუმად გაგვეპარე, წახვედი ისე, რომ არავინ შეგიწუხებია, როცა შენ თვითონ წუხდი ყველაზე და ყველაფერზე. ბოლოს, როდესაც საავადმყოფოში დაგირეკე, მითხარი: ნოდარ, ჯოჯოხეთში ვარ, ნუ გაირჯები,



როცა გამოვალ, მაშინ მნახეო. ასეც მოვიქეცი, მაგრამ როდესაც გნახე, უკვე აღარ იყავი და სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ეს შედეგი შენთვისაც სრულიად წარმოუდგენელი იყო.

შენ ნამდვილი ინტელექტუალი იყავი. ძალიან მდიდარი და მრავალმხრივი მემკვიდრეობა დაგვიტოვე, თუმცა კიდევ ბევრი ჩანაფიქრი გქონდა, რომელთაგან ზოგიერთს გავახმოვანებ: გამოსაცემად მოამზადე ლექციების ორიგინალური კურსი ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, შესაბამის გამომცემლობასთან შეთანხმებით, ამზადებდი შენი რჩეული ნაშრომების ორტომეულს, შენი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოცემული „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეულის საფუძველზე აპირებდი ერთტომეულის შედგენას, რომელიც ინგლისურადაც უნდა თარგმნილიყო, რასაც ეროვნული დანიშნულებაც ექნებაო - ამბობდი. და ასე, ეროვნული და მეცნიერული ღირებულებების სამსახურში იყო მოქცეული მთელი შენი ცხოვრება და შემოქმედება.

გქონდა სხვა გეგმებიც. მაგრამ რაც შენ გააკეთე და დაგვიტოვე მეცნიერებაში, პუბლიცისტიკაში თუ მწერლობაში ბარე 10 შემოქმედს ეყოფოდა საამაყოდ. რომელი ერთი ჩამოვთვალო? 34 წიგნი, 120 სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე, 500-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი, თარგმანები, რეცენზიები, რედაქტორის შენეული წინასიტყვაობები. მთლიანობაში ეს ლამის ერთი ბიბლიოთეკაა და ყველაფერ ამას აკეთებდი აქტიური საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და პედაგოგიური საქმიანობის პირობებში.

ჩვენთვის (და არამხოლოდ) საამაყოა, რომ შენ იყავი აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემიის პირველი ლაურეატი ფილოსოფიაში, მიღებული გქონდა სახელმწიფო და ეროვნული პრემიები პუბლიცისტიკასა და მეცნიერების დარგში, დაჯილდოებული იყავი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოებით.

აკადემიკოს შალვა ხიდაშელის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობდი ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას, იყავი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, კითხულობდი ლექციებს თსუ-ში და დედაქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, 2013 წლიდან იყავი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხელმძღვანელობდი ფილოსოფიის პროგრამულ მიმართულებას, იყავი მრავალი ასპირანტისა და დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი. და ყველაფერი ეს არის ნამღვაწარი ობლად გაზრდილი ფაჩხელი ბიჭის, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნიჭის, პიროვნული სიმაღლისა და შრომის წყალობით მიაღწია ამას.

მიხეილ მახარაძის წარმატებებთან ასოცირდება მისი გარდაცვლილი მეუღლე - ციალა დავითაძე, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ოთხი ღირსეული შვილის აღმზრდელი დედა. მიხეილი მეუღლის თანადგომასთან მიმართებით, თავის „სხალთური ჩანახატების“ კრებულში ამბობს: „ოჯახის შექმნის შემდეგ რასაც მივაღწიე და მივაღწიე საკმაოდ ბევრს, ამაში უდავოდ არის მეუღლის დიდი წვლილი. მის გარეშე, დარწმუნებული ვარ, ამის ნახევარი წარმატებაც არ მექნებოდა“ . მეუღლის თანადგომისა და დამსახურების მიხეილისთვის დამახასიათებელი გულწრფელი, პირდაპირი და რაინდული შეფასებაა.

ჩემო მიშა, შენი გარდაცვალება უმძიმესი დანაკლისია შენი ოჯახისათვის, შენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, შენი სანათესაოსთვის, მახარაძეთა მთელი გვარისთვის, რომლის ერთ ძლიერ შტოს მიუძღვენი მშვენიერი წიგნი, რომელშიც რელიეფურად წარმოაჩინე შენი ფესვმაგარი გვარის ისტორიის თითქმის სამსაუკუნოვანი მონაკვეთი. შენ - ამ გვარის (და არამხოლოდ ამ გვარის) გამორჩეულ წარმომადგენელს, დაბადებიდან 75-ე წლისთავზე სრულიად დამსახურებული საიუბილეო წიგნი მოგიძღვენი, სადაც შევეცადე, დამეხატა შენი ფსიქოლოგიური პორტრეტი, პორტრეტი ჭეშმარიტი მამულიშვილისა და მომავალი თაობებისთვის მისაწვდომად ხელსაყრელი ფორმით შემომენახა შენი ნაშრომ-ნაამაგარის შთამბეჭდავი ბიბლიოგრაფია.

მიშა, ჩვენო საამაყო მეგობარო, სამშობლოს დიდო პატრიოტო, აჭარის ღირსების შეუდრეკელო დამცველო, ზოგადქართულის ფხიზელო გუშაგო, გამოჩენილო მეცნიერო და მოღვაწეე, შენ ყოველმხრივ ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან. შენი ანდერძის შესაბამისად, შენ ყველა შემთხვევაში მეუღლის გვერდით უნდა დაკრძალულიყავი, თორემ, მე რომ მკითხოს კაცმა, შენი სამუდამო განსასვენებელი სხვა ადგილას მეგულება.

ნოდარ ბარამიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/11/23, 19 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ირინა ხინიკაძე: მადლობა მუსიკას, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენმა თანაქალაქელმა ირინა ხინიკაძემ ბათუმის ხელოვნების ცენტრში სოლო კონცერტი გამართა და მრავლად შეკრებილ მსმენელს საკუთარი შემოქმედება გააცნო

პროფესიით ექიმია, მაგრამ მუსიკის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლია, როგორც ამბობს, იგი ყოველთვის მის გვერდითაა. არაერთი წელია, მუსიკასაც და ტექსტსაც თავად წერს და შესანიშნავადაც ასრულებს...

საღამო შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ - პირველში საავტორო სიმღერები წარმოგვიდგინა, როგორც საკუთარ, ისე პოეტების, მათ შორის ვახტანგ ღლონტის, ოთარ ჭილაძის (რომელიც შვილმკვდარ დედებს მიუძღვნა და ძალიან ემოციურად შეასრულა), ზვიად კეჭაყმაძისა და სხვათა ტექსტებზე დაწერილი. მეორე ნაწილი პოპულარული ავტორების კომპოზიციებს, ცნობილ ქართულ ჰანგებს დაეთმო, რომელთა შორის მოვისმინეთ გია ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“, ვაჟა აზარაშვილის „ტანგო“, ოთარ რამიშვილის „არ მაძინებს“, გიორგი ცაბაძის „ბედის ბორბალი“, ანდრია ყარაშვილის „ისევ შენ“...

რამდენიმე წლის წინათაც ჟღერდა მისი სიმღერები ამ დარბაზში, თუმცა მაშინ ექიმი-მომღერალი სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ იმყოფებოდა და, მიუხედავად ღონისძიების მომცრო ფორმატისა, მაშინაც შესანიშნავი საღამო იხილა მაყურებელმა.

ამჟამად ეს იყო პირველი სოლო კონცერტი, რომელმაც მრავალი მსმენელი მიიზიდა. ამ უდავოდ ნიჭიერმა, მომხიბლავმა ქალბატონმა შესანიშნავ შემოქმედებას აზიარა დამსწრე საზოგადოება. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს „ინტელიგენტური“ მუსიკის წარმატებული საღამო იყო, რომელიც ბათუმზე მიძღვნილი სიმღერით დაიწყო. როგორც ირინა ხინიკაძემ აღნიშნა, ეს მისი უსაყვარლესი სიმღერაა, რომლის ტექსტი ირინას მამას, დათო ხინიკაძეს ეკუთვნის, რომელიც იმ დღეს, ალბათ ზეციურ საქართველოში ხარობდა შვილის ასეთი წარმატებით.

რამდენიმე ნიჭიერი მუსიკოსი წარსდგა ირინა ხინიკაძესთან ერთად მის სოლო კონცერტზე, რომლებმაც თავისი პროფესიონალიზმით ნამდვილად გაალამაზეს საღამო. მათ შორის გახლდათ პიანისტი გიორგი დიასამიძე, მუსიკოსი ვაჟა ტუღუში, მომღერალი სულხან დევაძე. პროექტის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა მიხეილ ბუაძემ ორი კომპოზიცია შესთავაზა მსმენელს... თითოეულმა გამომსვლელმა არაჩვეულებრივად წარმოაჩინა თავი.

- დღეს გემოვნებიანი მუსიკა მოვისმინეთ შესანიშნავი შესრულებით, სასიამოვნო ხმით. ექიმ ირინა ხინიკაძეს ბავშვობიდან ვიცნობ. მადლობა მინდა ვუთხრა მას ამ ლამაზი საღამოსთვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს დასამახსოვრებელი ზეიმი მოაწყო. ბათუმი მუდამ გამოირჩეოდა ნიჭიერი, შემოქმედი ადამიანებით და ეს საღამო კიდევ ერთი გამობრწყინება იყო. მადლობა ყველას, ვინც ირინასთან ერთად სცენაზე იდგა, მასთან ერთად გააფერადა საღამო, - გვითხრა ჟურნალისტმა მარინე კუპრეიშვილმა.

- როგორც ირინა უხდება ბათუმს, ისე მოუხდა მისი სიმღერები დღევანდელ საღამოს, რომელიც ისევე შეუყვარდათ ბათუმელებს, როგორც ირინა უყვართ, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

- ბედნიერებაა, როცა შვილებში წინაპრების გენებს არ სძინავთ და ირინა ერთ-ერთი მათგანია, მრავალმხრივ ნიჭიერი, მუყაითი, საკუთარი გზის მაძიებელი, განსხვავებული და ისეთი დიდი გულის ადამიანი, რომელიც უკიდეგანო სიყვარულს იტევს... ის არ უნდა გაჩერდეს, სულ წინ უნდა იაროს, - თქვა ბათუმელმა რუსუდან შავიშვილმა.

- რა თქმა უნდა, მსმენელის წინაშე ნებისმიერ გამოსვლას ღელვა ახლავს და მით უმეტეს, როცა ეს შენი პირველი სოლო კონცერტია. ვნერვიულობდი, როგორ მიიღებდა მსმენელი ჩემს პირველ საავტორო კონცერტს... მაგრამ ისეთი მეგობრები მედგნენ გვერდით, რომ ყველაფერი გამიადვილეს, შედეგს ერთიანობით მივაღწიეთ. მადლობა მაყურებელს, რომლისგანაც დიდი სითბო მოდიოდა. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მუსიკალურ ცენტრს, სპეციალურად ამ დღისთვის ჩამობრძანებულ სტუმრებს - ზაზა პაპუაშვილს, დემიკო ლოლაძეს, პაატა მძინარიშვილს, ელენე ჩიქოვანს, პროექტის ხელმძღვანელ მიხო ბუაძეს, პიანისტ გიორგი დიასამიძეს, მაია მაზანაშვილს, ცირა ჯაფარიძეს, თეონა ხახვიაშვილს, ირაკლი ჯანაშიას, ირაკლი გიორგაძეს, ილო ჯიქიას, - გვითხრა კონცერტის შემდეგ ირინა ხინიკაძემ, რომელმაც დაუვიწყარი საღამო აჩუქა ბათუმელებს - მათაც სათანადოდ შეაფასეს მისი შემოქმედება და მადლიერების ნიშნად, ფეხზე ამდგარნი, დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

არაფერს გეგმავს, რადგან მომავალი სიურპრიზებითაა სავსე

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

მაკა წულუკიძე *ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში დაიბადა. 6 წლის ასაკში დაინტერესდა ქსოვით და მას შემდეგ ეს ხელსაქმე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ლამაზ, ფერად და სახასიათო სათამაშოებს წლებია ქსოვს. ინტერნეტსივრცეში თავისი იუთუბარხიც აქვს, სადაც გამომწერებს ქსოვას ასწავლის. მაკა, პარალელურად, ტურისტულ სფეროშიც მოღვაწეობს - გიდად მუშაობს და როგორც თავად გვითხრა, მისი ხელნაკეთი სათამაშოების მომხმარებლების 70% უცხოელები არიან.*

- მაკა, როდის დაიწყეთ ქსოვა?

- გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, უშუქობის და უინტერნეტობის პერიოდში ხალხი ხელსაქმით დაკავდა. 6 წლის ვიყავი, როცა ყველას ვთხოვდი, ქსოვა ესწავლებინათ, მაგრამ პასუხი ასეთი იყო: ჯერ ძალიან პატარა ხარ, პაწაწუნა ხელები გაქვს, ცოტას გაიზრდები და შემდეგ გასწავლითო. თუმცა, მაინც ჩემი გავიტანე. ქსოვა კაცმა მასწავლა - ჩემი ნათესავი ჯემალ წულუკიძე დამეხმარა, თვალის ამოყვანა რომ მესწავლა. მას შემდეგ თავად გავიკვლიე გზა. პირველი ნამუშევარი წინდები იყო, რომელიც არ ვიცოდი, როგორ იქსოვებოდა. ფეხის თითებიდან დავიწყე, გახსნილ მდგომარეობაში დავტოვე და შემდეგ ნემსით ამოვკერე.

- რატომ გაგიჩნდათ თოჯინების ქსოვის სურვილი?

- რაც შეეხება თოჯინების ქსოვას, ეს ჩემთვის ახალი გამოწვევა იყო. 2018 წელს, ემიგრაციაში, ტყუპების აღმზრდელად ვმუშაობდი. 9 თვის განმავლობაში ვიყავი იქ და ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა. შემდეგ, როცა მათთან სტუმრად მივდიოდი, გადავწყვიტე, პატარებისთვის რაღაც განსაკუთრებული და ღირებული, ჩემი ხელით შექმნილი საჩუქარი წამეღო. ჰოდა, მეც მოვქსოვე და წავიღე ტყუპი კურდღელი სახელად „ნაზლი“ და „ქერემი“.

- პირველივე ნამუშევარი გამოგივიდათ?

- დიახ, პირველივე ნამუშევარი კარგად გამომივიდა. მივხვდი, რომ ეს საქმე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. უფრო ადრე უნდა დამეწყო თოჯინების ქსოვა.

- როგორია დამზადების პროცესი და ტექნოლოგია?

- საკმაოდ შრომატევადი, დიდ ყურადღებას და ნებისყოფას მოითხოვს, ასევე, კარგ მხედველობას, რომელიც, სამწუხაროდ, არ მაქვს, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის.

- ქსოვის დროს როგორ სქემებს იყენებთ?

- არანაირ სქემას არ ვიყენებ, თვითწარმოსახვით ვქსოვ. მინდა ვაღიარო, რომ სქემებს ვერ ვკითხულობ. თუმცა ხშირად ვუყურებ ქსოვის ვიდეოებს სხვადასხვა საიტზე.

- ალბათ, საკუთარი პერსონაჟების შექმნის სურვილიც გაგიჩნდათ?

- ძირითადად კურდღლები, ჟირაფები, ირმები, მგელი, ვეფხვი, კატა და თოვლის კაცუნები მაქვს მოქსოვილი.

- შეკვეთით თუ მუშაობთ და რა ფასებში იყიდება თოჯინები?

- პანდემიის დროს, როცა ყველა სახლში ჩავჯექით, დავიწყე შეკვეთების მიღება, რაც დღემდე გრძელდება. თოჯინების ფასი დამოკიდებულია მათ ზომასა და ქსოვის სირთულეზე.

- ამ ეტაპზე რამდენი თოჯინა გაქვთ სახლში?

- მაქვს მხოლოდ ორი და რამდენიმე - დაუმთავრებელი თოჯინა, რადგან, დროის უქონლობის გამო, მხოლოდ შეკვეთით ვქსოვ.

- ამ ნამუშევრების პირველი შემფასებლები ალბათ, თქვენი შვილები არიან. მოსწონთ, რასაც ქმნით?

- დიდ ინტერესს არ გამოხატავენ.

- როგორც ვიცი, ტურისტულ სფეროშიც საქმიანობთ...

- ამჟამად ვმუშაობ რესტორან „პანორამის“ საბავშვო სივრცეში. ასევე, დაინტერესებული ვარ ტურიზმით და ვცდილობ, ავიმაღლო ცოდნა ამ სფეროში.

- უცხოელი მომხმარებლები თუ გყავთ?

- ჩემი მომხმარებლების 70% უცხოელია.

- რა გეგმები გაქვთ?

- არასოდეს არაფერს ვგეგმავ. ჩემი მომავალი ყოველთვის სიურპრიზებითაა სავსე.

ბიზნესად ქცეული ბავშვობის ჰობი

ჩვენი სტუმარია ნიჭიერი ბათუმელი ახალგაზრდა ***დიმიტრი მიდელაშვილი.*** *ჯერ კიდევ მე-7 კლასში იყო, როცა ხელსაქმისადმი სიყვარული მას არა მხოლოდ პროფესიულ ზრდაში დაეხმარა, არამედ ახალი შესაძლებლობებიც აღმოაჩენინა. როგორც თავად გვითხრა, მისი შთაგონების წყაროო ბავშვობაში ეკლესიაში ნანახი ხატის ორნამენტული ჩარჩოები გახდა. ამჟამად ავეჯის საკუთარი ქარხანა აქვს, სადაც ხის და ლამინატის განსხვავებულ, დახვეწილ ხელნაკეთობებს აწარმოებს.*

- დიმიტრი, როდის დაიწყეთ ხეზე მუშაობა და რა იყო ამის მიზეზი?

- მოზარდობისას დედასთან ერთად ეკლესიაში დავდიოდი და საკვირაო წირვას ვესწრებოდი. ამ დროს ხატების ჩარჩოების ორნამენტულ დიზაინს ვაკვირდებოდი. ძალიან მომწონდა და ჩემში მაშინ დიდი ინტერესი გააღვიძა. გარკვეული პერიოდის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, ძირფესვიანად შემესწავლა ხეზე კვეთა. დედას ვთხოვე, ეპოვა ჩემთვის მასწავლებელი, რომელიც ამ საქმეს სრულყოფილად შემასწავლიდა. ასეც მოიქცა და მიმაბარა მასწავლებელს, ვისთანაც მეცადინეობები მხოლოდ შაბათ-კვირას მქონდა. ეს პერიოდი ჩემთვის ძალიან ემოციური, სასიამოვნო და, ამავდროულად, საინტერესო იყო. ძალიან ბევრი რამ შევისწავლე და უკვე დამოუკიდებლად ვქმნიდი ხატების ჩარჩოებს სხვადასხვა დიზაინით. ასევე, ვამზადებდი ზარდახშებს, ხელის პატარა სარკეებს, სუვენირებს... ამ ყველაფერმა სხვების ყურადღება საკმაოდ მალე მიიქცია. ჩემი შემოქმედებით დაინტერესდნენ და ამის საფუძველზე პატარა შეკვეთებსაც ვიღებდი.

- სკოლის დასრულების შემდეგ რა პროფესია აირჩიეთ?

- აქ უკვე იწყება საგანმანათლებლო პროცესები. როგორც სხვებს, მეც მქონდა ინტერესი საზღვაო საქმიანობისადმი, ამიტომ ჩემი ხელსაქმე, რომელიც დიდ ენერგიას და ნებისყოფას მოითხოვდა, ცოტა ხნით გადავდე, ჩავბარე ბათუმის საზღვაო აკადემიაში, თუმცა სამი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი პროფესია საზღვაო საქმიანობა კი არა, ხესთან მუშაობა იყო. ასე გადავწყვიტე, მომავალი ჩემს საყვარელ საქმიანობასთან დამეკავშირებინა. შესაძლებლობები უფრო გავიღრმავე, არა მხოლოდ ხეზე, არამედ ლამინატზე მუშაობაც შევისწავლე. დღეს საკუთარი ქარხანა მაქვს, სადაც ავეჯს ვამზადებ. ჩემი ამჟამინდელი ბიზნესით ძალიან ბედნიერი ვარ. მყავს უამრავი ერთგული და კმაყოფილი მომხმარებელი და ეს ყველაფერი ჩემი საყვარელი საქმის დამსახურებაა.

- რადენად კარგად იყიდება თქვენი პროდუქცია?

- დავიწყებ იმით, რომ ჩემი მიზანია მომხმარებლებზე მორგებული კომფორტული და ეკოლოგიურად სუფთა ავეჯის მიწოდება. ჩემი პროდუქცია რეალიზდება არაერთ წამყვან მაღაზიასა და სხვა

დასხვა სამშენებლო კომპანიაში. ეს კი იმის დასტურია, რამდენად მოთხოვნადია ჩემი დამზადებული ავეჯი თუ სხვა ხელნაკეთობები.

- რომელია მეტად მოთხოვნადი - ავეჯი თუ ხელნაკეთი ნივთები?

- ვფიქრობ, დღესდღეობით თითოეული ჩვენგანისთვის ორივე საჭირო და მნიშვნელოვანია. ბათუმში ვცხოვრობ, ბათუმი კი, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მზარდი ტურისტული ქალაქია. ძალიან ბევრი ახალი საცხოვრებელი კომპლექსი შენდება. ავეჯზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა, თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული ავეჯი კი როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, ტურისტებისთვისაც უფრო აქტუალურია.

- რატომ გვირჩევთ თქვენს პროდუქციას?

- იმიტომ, რომ ჩემ მიერ წარმოებული ავეჯი არის ეკოლოგიურად სუფთა, გამძლე და ხარისხიანი. ვამზადებ მომხმარებლის გემოვნების შესაბამისად. სწორედ ეს არის ჩემი მიზანი - ავეჯი იყოს გემოვნებიანი, კომფორტული და, რაც მთავარია, ქმნიდეს მყუდრო გარემოს.

მარიამ ზოიძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი